ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანთიმოზ ივერიელის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სტუდენტთა ელექტრონული ჟურნალი

ზნეები

№1

თბილისი 2020

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities
Educational-Scientific Institute of Philosophy

Anthim the Iberian Scientific-Research Center

Student Electronic Journal

ZNENI

№1

TbilisI 2020

თქვენს წინაშეა სტუდენტ-ფილოსოფოსთა პირველი ელექტრონული ჟურნალი „ზნენი“.

ჟურნალი მიზნად ისახავს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის წახალისებას, მათი ანალიტიკური აზროვნების, კვლევითი და აკადემიური კომუნიკაციის უნარების განვითარებას, ფილოსოფიის, თეოლოგიის ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ახალი თეორიული ცოდნის ფორმირებას, მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევებისათვის სტუდენტთა უნარების მომზადებას.

ჟურნალი ხელს შეუწყობს მოტივირებულ და გამორჩეულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართვას. იგი საშუალებას მისცემს სტუდენტებს საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

უმრავლესობისათვის ჩვენს ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება იქნება პირველი სამეცნიერო გამოცდილება.

სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში მუშაობა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დააგროვონ სამეცნიერო ტექსტების რედაქტირება-რეცენზირების გამოცდილება.

ჟურნალი ღიაა ფილოსოფიისა და თეოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის. იგი ეპატიჟება ასევე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს.

ჟურნალის პირველი ნომერი ეთმობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის “თანამედროვეობის მორალური გამოწვევები“ მასალებს.

ნომრის სამეცნიერო კონსულტანტი - ანასტასია ზაქარიაძე

ნომრის რედაქტორი - ნიკოლოზ ჭარხალაშვილი

სარედაქციო კოლეგია - დემურ ჯალაღონია, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, დალი გულიაშვილი, სოფიო დუმბაძე, მარიამ კუჭავა, ალექსი ტკაჩოვი, საბა ბულისკერია.

სარჩევი

- **ნიკოლოზ ჭარხალაშვილი** - „ევთანაზია, როგორც ბიოეთიკური პრობლემა“ .... გვ. 5
- **რუსუდან ჯანანაშვილი** - „კანონი და თავისუფლება“ .... გვ. 8
- **დავით თაბორიძე** - „ჯორდან პეტერსონის ონტოლოგია და მისი აპლიკაცია ეთიკაში“ .... გვ. 10
- **ჯეიმარ ბოლქვაძე** - „არისტოტელესეული მეგობრობის თანამედროვე რეცეფცია“ .... გვ. 13
- **მარიამ კუჭავა** - „ზომიერების პრინციპი და თანამედროვე სამყარო“ .... გვ. 15
- **თამთა ზაქარაშვილი** - „სამართლიანობის შესაძლებლობა "მინიმალისტური სახელმწიფოს" კონცეფციაში“ .... გვ. 17
- **მარიამ ქოსაშვილი, ელიზა ეფაძე** - „ფილოსოფია და რელიგია“ .... გვ. 20
- **საბა ბულისკერია** - „ადამიანი, როგორც ხიდი არსებობასა და არსებას შორის“ .... გვ. 22
- **ნონა მაჭავარიანი** - „ეკრანი, როგორც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი“ .... გვ. 30
- **სოფიო დუმბაძე** - „აქტუალურია ეთიკურ ღირებულებებზე ფიქრი დღეს?! - pro et contra “ .... გვ. 34
- **ალექსი ტკაჩოვი** - „თვითუარყოფა, როგორც მორალური კატეგორია „დაო დე-ძინის“ მიხედვით“ .... გვ. 38
- **ტატო ჯიჯიეშვილი** - „მტკიცება, როგორც უმეცრება“ .... გვ. 42
- **გიორგი ვახტანგაშვილი** - „პატიმრის დილემა“, როგორც ინდივიდუალური მორალური ქცევის პრობლემა თანამედროვე სამყაროში” (ნორბერტ ელიასის „თამაშის სამი მოდელის“ რეცეფცია) .... გვ. 46
- **გიორგი თათარაშვილი** - “პიროვნული იდენტობა და რასიზმი” .... გვ. 52

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **ნიკოლოზ ჭარხალაშვილი**

ევთანაზია, როგორც ბიოეთიკური პრობლემა

რა მორალური გამართლება აქვს ევთანაზიას თანამედროვე სამყაროში? არსებობს, თუ არა, საერთაშორისო კონსენსუსი აღნიშნული პრობლემის თაობაზე, რომელიც ძალზედ აქტუალურ ბიოეთიკურ თემას წარმოადგენს. რა ადგილი უკავია „სიკვდილის უფლებას“ „სიცოცხლის უფლებაში“? ადამიანის სიცოცხლე არის უფლება, თუ მოვალეობა? ვიცით, რომ სიცოცხლის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, ამდენად, საინტერესოა, რა მორალური გამართლება აქვს ევთანაზიას.

ევთანაზია (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) ბერძნული სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან - „ეუ“, ნიშნავს კარგს და „თანატოს“, რაც ნიშნავს სიკვდილს. ევთანაზია ნიშნავს სასიკვდილო სენით დაავადებული, ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაზე მყოფი პაციენტისათვის სიცოცხლის განზრახ მოსწრაფებას, ავადმყოფობით გამოწვეული ძლიერი ტკივილებისა და ტანჯვისგან გათავისუფლების მიზნით.

ევთანაზიის მომხრეები თვითმკვლელობასა და სიკვდილის ამ ფორმას ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ თუ ადამიანის ტანჯვა აუტანელია და გამოჯანმრთელების არანაირი შანსი არ არსებობს, აუცილებელია კანონიერი და მორალური ალტერნატივა, როდესაც ნებაყოფლობითი სიკვდილი აღიქმება, როგორც სამედიცინო დახმარების გაგრძელება. გარდა ამისა, ევთანაზიის მომხრეთა განმარტებით, ბევრ მძიმე ავადმყოფს თავადაც ენდომებოდა სიცოცხლის სუიციდით დასრულება, მაგრამ მათ ამის ძალა აღარ შესწევთ.

წარმოვადგენთ, ევთანაზიის ორ სახეს - პასიურსა და აქტიურს. აქტიური ევთანაზიის დროს, უკურნებადი დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მიმართ გამოიყენება ისეტი პრეპარატი, რომელიც აჩქარებს სიკვდილს. პასიური ევთანაზიის დროს, კი წყდება დამხმარე თერაპია.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ნაცისტურ გერმანიაში ევთანაზია ხორციელდებოდა მასობრივი მასშტაბით მათ წინააღმდეგ, ვინც იმ დროისთვის „ეკონომიკურ ტვირთს“ წარმოადგენდა. მეცნიერები და ექიმები იმ დროისთვის ე.წ. „რასობრივი ჰიგიენის“ პროპაგანდას ეწეოდნენ. მათი გავლენით ჰიტლერმა გამოსცა ბრძანება იმ ბავშვების რეგისტრაციის შესახებ, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ ''მონღოლოიდურობით'', ჰიდროცეფალიით, ცერებრალური დამბლით და სხვა „სიმახინჯეებით". ამ კატეგორიას უკეთებდნენ ევთანაზიას ფენობარბიტალის ჭარბი დოზის შეყვანით. ევთანაზია იყო საშულება ''საზოგადოებისათვის ზედმეტი ტვირთის მოსაცილებლად''.

სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით, ევროპის უმეტესი ქვეყანა ერიდება მის ლეგალიზებას, რათა არ მოხდეს ევთანაზიის ბოროტად გამოყენება. პასიური ევთანაზია ლეგალიზებულია. ექიმებს შორის დამკვიდრებულია აზრი, რომ თუკი პაციენტის სიცოცხლე აპარატის გარეშე შეუძლებელია, შესაძლებელია მისი გამორთვა, რადგნაც ხდება უკვე არა პაციენტის სიცოცხლის შენარჩუნება, არამედ სიკვდილის გაჭიანურება.

2002 წელს ნიდერლანდების სამეფო იყო პირველი ქვეყანა, სადაც ევთანაზია ლეგალური გახდა. უფრო მეტიც, აქ თვითმკვლელობის ჩადენაში დახმარებაც კი არ ისჯება კანონით. თუმცა ამ ყველაფრის წინაპირობა უნდა იყოს ის, რომ პაციენტს აქვს უკურნებელი სენი, აუტანელი ტკივილებისგან იტანჯება და მისი გამოჯანმრთელების ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია. ევთანაზია ლეგალურია ბელგიაში, შვეიცარიაში, აშშ-ის რამდენიმე შტატში (ორეგონი, ვერმონტი, ვაშინგტონი), ლუქსემბურგსა და კოლუმბიაში. გერმანიაში, შვედეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ისრაელში, კანადასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, გარკვეულ პირობებში, რეანიმაციულ მომსახურებაზე უარის თქმა დაშვებულია. საფრანგეთში კი ლეგალურია ტერმინალური სედაცია, რაც ბუნებრივი სიკვდილის დადგომამდე პაციენტის მედიკამენტოზურ ძილს გულისხმობს.

იქ, სადაც ევთანაზია ლეგალურია, ეს პროცესი ძირითადად სასიკვდილო მედიკამენტის მიღებას გულისხმობს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ავადმყოფი არაერთხელ, მოწმეების თანდასწრებით, სიცოცხლის შეწყვეტის სურვილს გამოხატავს. ექიმების კომისიამ კი უნდა დაასკვნას, რომ დაავადება უკურნებელია და პაციენტი საკუთარ გადაწყვეტილებას აცნობიერებს.

ნიდერლანდების სამეფოსა და ბელგიაში, თუ ბავშვს უკურნებელი სენი აქვს, ევთანაზია დაშვებულია. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, ეს 12 წლიდან არის შესაძლებელი, ბელგიურში კი ასაკობრივი ცენზი არ არსებობს.

აქტიურ ევთანაზიას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელთაც საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავთ თავიანთი პოზიციის განსამტკიცებლად. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს: რელიგიური, ეთიკური, სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები.

რელიგიური ასპექტით ევთანაზიის დაკანონებას ეწინააღმდეგება ეკლესია. ადამიანი ღვთის ქმნილებაა და ამქვეყნიური განსაცდელით მისი ნებითაა მოვლენილი, რომელითაც უფალი ჯოჯოხეთისაგან იხსნის მათ, ჩვენ კი მომაკვდავის მოკვლით მას ჯოჯოხეთისთვის ვიმეტებთ. ეთიკური ასპექტით, თუკი ადამინს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ ვაკისრებთ მას სიცოცხლის ვალდებულებას და რატომ არ უნდა ქონდეს მას სიკვდილის უფლება? სამართლებრივი ასპექტით, კანონი იცავს ადამიანს დაბადებიდან, ბიოლოგიურ ვუხანგრძლივებთ თუ სიკვდილს ვუჭიანურებთ? ხოლო, სამედიცინო ასპექტით, საკითხავია, - არღვევს თუ არა ექიმი ჰიპოკრტეს ფიცს როცა ის ასრულებს პაცინტის ნებას?

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხს სხვადასხვაგვარად აგვარებს. ქვეყანათა ერთი ჯგუფი ევთანაზიის ლეგალიზებას ახდენს, მეორე მას ჩვეულებრივ, მარტივ მკვლელობად განიხილავს, ხოლო მესამე ჯგუფი დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემობად მიიჩნევს - ჩვენ ყველა შესაძლო მხარეების არგუმენტებსა და მათ მორალურ ასპექტებს განვიხილავთ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი **რუსუდან ჯანანაშვილი**

კანონი და თავისუფლება

მორალის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს ინდივიდის გარშემო არსებულ სიტუაციას, ადამიანებს, თუმცა აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი როლი მაინც თავისუფალ ნებას აქვს.

მოხსენებაში პრობლემა შემდეგნაირად წამოვჭრათ - თუ თითოეული ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავისუფლებას დაუქვემდებარებს ამა თუ იმ ქმედებას, ნებისმერ შემთხვევაში მორალურად გამართლებულ საქციელთან გვექნება საქმე? მეორე მხრივ, არსებობს კანონი, სწორედ ის არეგულირებს სოციუმის წევრთა ქმედების ამა თუ იმ ასპექტს და თავიდან გვაცილებს სუბიექტურ მიდგომებს მორალური თუ ამორალური ქცევის განსაზღვრისას. გარდა ამისა, არსებობს მორალური კანონებიც, რომლებიც კანონმდებლობით არ განისაზღვრება, მაგრამ რადგან ადამიანი მორალური არსებაა, საკუთარ ქცევებს ზოგჯერ მათაც უქვემდებარებს.

თანამედროვეობის მორალურ გამოწვევად განვიხილავთ თავისუფლების საკითხს მისი კანონთან მიმართების კუთხით და ვიმსჯელებთ, თუ სად გადის საზღვარი დამოუკიდებელ არჩევანსა და იმ კანონებს შორის, რომელთაც ჩვენი ქცევები უნდა დავუქვემდებაროთ. თანამედროვე სამყაროში ეს საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან თავისუფლება მრავლისმომცველი ცნებაა და მისი კანონთან კავშირში განხილვისას დღემდე ხშირად იჩენს თავს გარკვეული უზუსტობები.

ზემოთაღნიშნულ ორ ცნებას შორის მიმართების განხილვამდე უკეთესი იქნება, ცალკე შევეხოთ თითოეულ მათგანს. თავდაპირველად განვიხილიოთ თავისუფლების არსი, რაც არც ისე მარტივია, რადგან თავისუფლების მრავალგვარი გაგება არსებობს. ის ადამიანისთვის ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულებაა. ამავდროულად, ის, რომ ადამიანი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე მოქმედებს, მას გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. აქ უკვე შემოდის თავისუფლებასთან დაკავშირებული ცნებები, როგორიცაა, მაგალითად, პასუხისმგებლობა და მოვალეობა. მათ გარეშე პიროვნების თავისუფლება

სრულყოფილი ვერ იქნება. თუმცა, აქედან გამოდინარე იკვეთება ის მოსაზრებაც, რომ თავისუფლება მძიმე ტვირთია ადამიანისთვის.

რაც შეეხება კანონს, ის საზოგადოების ქცევის ერთგვარი მარეგულირებელია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის/ადამიანთა ჯგუფის ქმედებათა სამართლებრივ შინაარსს. კანონები სახელმწიფოს არსებობის მნიშვნელოვანი პირობაა, რადგან მათი წყალობით ქვეყანაში წესრიგი ნარჩუნდება და, რაც მთავარია, მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა უფლებები. კანონმდებლობის არსებობა ყოველ მოქალაქეს თანაბარ პირობებში აყენებს. ერთი სიტყვით, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება სამართლებრივი ნორმების არსებობის გარეშე.

რაც შეეხება თავისუფლებისა და კანონის ურთიერთმიმართებას, აქ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფოს მიერ როგორც პიროვნების თავისუფლების, ისე კანონის უზენაესობის დაცვა ისე, რომ არც ინდივიდის თავისუფლება შეილახოს და არც კანონი დაირღვეს. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა უნდა მოერგოს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, თუმცა მეორე მხრივ, ინდივიდმა კანონდარღვევა არ უნდა გაამართლოს იმით, რომ ასე ის პიროვნულ თავისუფლებას ავლენდა.

როგორც კანონი, ისე თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორალური ქცევის განსაზღვრაში, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ორ ცნებას შორის მიმართების სწორად გაგება, რადგან ასე არაერთი დილემური სიტუაცია გადაიჭრება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი **დავით თაბორიძე**

ჯორდან პეტერსონის ონტოლოგია და მისი აპლიკაცია ეთიკაში

ჯორდან პეტერსონი კანადელი კლინიკური ფსიქოლოგი, სოციალური კომენტატორი და სქოლარია, არის რამდენიმე წიგნის ავტორიც. მისი კვლევის ფუნდამენტური საგანია ადამიანის რწმენა და მისი პირველი წიგნიც ამას ეძღვნება (Maps of Meaning: The Architecture of Belief). თუმცა ის კონკრეტული მოსაზრება, რომელსაც ეძღვნება ეს მოხსენება, მან რამდენიმე წლის წინ გამოთქვა და არაერთ პლატფორმაზე მოხდა მისი გაშუქება, რამაც გამოიწვია მისით დაინტერესება და უკვე ფილოსოფიურ-ეთიკური დისკურსის მიცემა.

ზოგადად, ეთიკისა და ონტოლოგიის რელაცია უძველესია და მას მივყავართ ცივილიზაციის სათავეებთან. შეიძლება ითქვას, რომ მათი გადაკვეთა ორმხრივია: ზოგი ფილოსოფოსის აზრით მორალი სწორედ რელიგიაშია მხოლოდ, ხოლო ზოგი, მაგალითად კანტი, პირიქით - მორალშია რელიგია. ქრისტიანობაში ეთიკა და ონტოლოგია იკვეთება ძალიან ნათლად. თუმცა აქვე უნდა ხაზგაისვას, რომ ონტოლოგიაში იგულისხმება ღმერთი და მისი არსებობა ადამიანურ გამოცდილებაში. ამგვარი არსებობის ერთ გამოხატულება იყო ქრისტეს გაადამიანება და ვოლუნტარულად თავის შეწირვა, რაც, პეტერსონის თქმით, არის სიკვდილთან შეგუება, რასაც ყველა ადამიანი აკეთებს რაღაც გაგებით, რადგან სიკვდილი არ გულისხმობს მხოლოდ ერთჯერად ხდომილებას. ქრისტეს ეს თავგანწირვა დადგინდა ორიენტირად, რადგან იგი იკვეთებოდა ცოდვებთან, ცოდვები კი, თავის მხრივ, შეგვიძლია ეთიკურ კატეგორიად მივიჩნიოთ, როგორც სათნოებათა საპირისპირო პოლუსი. კიდევ ერთი გამოხატულება ღმერთის ემანაციისა უფრო ძველია და გულისხმობს ათი მცნების ისტორიას, რომელიც პირდაპირ დეონტოლოგიური ეთიკური ნორმების კრებულია და ეთიკაზე ზოგადი საუბრისას შეუძლებელია მისთვის გვერდის ავლა. მხოლოდ ქრისტიანობაზე დაკვირვებითაც ცხადია, რომ ღმერთი და ეთიკა ტრადიციული გაგებით განუყოფელია. კიდევ ერთი მაგალითი ამისა არის დოსტოევსკის დიალოგი, რომელიც ამ მოხსენების

ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება. ჯორდან პეტერსონიც ონტოლოგიიდან ამოდის. იგი დიდი თაყვანისმცემელია დოსტოევსკისა და იზიარებს მის შეხედულებებს, ამიტომ ქვემოთ განხილული საკითხებიც შეეხება სწორედ ონტოლოგიური ეთიკის თანამედროვე ინტერპრეტაციებს, კერძოდ, ჯორდან პეტერსონის მიერ დოსტოევსკის ონტოლოგიური ეთიკის მთავარი დებულებისკენ პოზიტიურ შემობრუნებას.

„წაართვით ადამიანს უკვდავების რწმენა და ისიც მაშინვე დაკარგავს არა მხოლოდ სიყვარულს, არამედ ამქვეყნიური არსებობისთვის აუცილებელ სასიცოცხლო ძალასაც. მეტიც: მაშინ აღარაფერი ჩაითვლება უზნეობად, ყველაფერი დაშვებული იქნება, თვით ანტროპოფაგიაც კი“ - ეს სიტყვები ეკუთვნის „ძმები კარამაზოვების“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ივანს, რომელიც არის მოფილოსოფოსო კაცი, იტანჯება ფსიქიკური ავადმყოფობით, გაორებით, ჰყავს საკუთარი დაიმონი, ეშმაკი, რომელთანაც კამათობს და ა.შ. მისი მოსაზრება სრულიად არაა უსაფუძვლო. იგი ფიქრობს, რომ მორალი სრულიად დაფუძნებულია ონტოლოგიაზე, კერძოდ, ღმერთზე. ღმერთის ანუ უკვდავების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანს დაუწესო ათი მცნება. ადამიანი ვერ მივა ადამიანთან და ვერ აუკრძალავს კაცის კვლას, რადგან ღმერთი არ არსებობს, რასაც მინდა იმას ვიზამ, ყველაფერი დაშვებულია. პეტერსონიც უბრუნდება ამ თეზისს, ოღონდ უფრო პოზიტიურად და არა ნეგატიურად, როგორც ამას ივანი აკეთებს. იგი პოპულარული მოაზროვნეა და მის მიმართ ხშირად ისმება შეკითხვა: გწამთ თუ არა ღმერთის არსებობის და ყოველ ჯერზე მისი პასუხი ერთია: „მე ვმოქმედებ ისე, თითქოს ღმერთი არსებობს (I act as if god exists)”. ამის მნიშვნელობის გაგება ძნელი არაა, მით უმეტეს, იმ სამყაროში, რომელშიც არსებობდა დოსტოევსკი - პეტერსონი ითხოვს ღმერთის დაბრუნებას აბსოლუტურად სრულყოფილი ზნეობრივი ორიენტირის სახით.

მის საპირწონედ დგას ამერიკული ათეისტური საზოგადოება, რომელიც სრულიად გასაგები მიზეზების გამო აუმხედრდა რელიგიურ აზროვნებას და უარი თქვა ღმერთის, როგორც მორალური ორიენტირის მიღებაზე. ამას თავისი წანამძღვრები ჰქონდა, კერძოდ, ამ საუკუნის დასაწყისში მომხდარი ტერორისტული კატასტროფის შემდეგ სწორედ ამ საზოგადოების წარმომადგენელი სემ ჰარისი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც იწყო ათეისტური გამოსვლები ამგვარი აზროვნების წინააღმდეგ: „ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ვიღაც თვითმფრინავების გატაცებაზე და აფეთქებაზეა წამსვლელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე რელიგიას ემსახურება“ - ამბობს იგი ერთ-ერთი ინტერვიუში. ამან დიდი გავლენა მოახდინა ათეისტურ ტალღაზე, რომელიც აქამდეც მძვინვარებდა და შემდეგ უფრო

მომძლავრდა დოკინსისა და ჰითჩინსის მეოხებით. თანამედროვე ამერიკული კულტურა დაფუძნდა სწორედ ათეიზმზე და ამას კარგად ამჩნევს პეტერსონიც. იგი ცდილობს ხალხი მოაბრუნოს. მას არ სურს იმ გზაზე სიარული, რომელზეც ივან კარამაზოვი დგას. მას სურს პირიქით - დააბრუნოს მორალური ორიენტირი. თუმცა რთული დასანახია არაა, რატომ არ სურს საზოგადოებას დაუბრუნდეს პეტერსონის სისტემას: იგივე სემ ჰარისი ხშირად აღნიშნავს ღმერთის არაზნეობრივ ქმედებებს, რითაც მას აბსოლუტურად კეთილისა და მორალურის სტატუს აკნინებს. მთავარი კითხვა კი ესაა: რამდენად მისაღებია ასეთი ღმერთი მორალურ ორიენტირად? ან თუ არაა, სად ვეძებოთ აბსოლუტურად კეთილი და მორალური ორიენტირი? ეს კითხვები დღემდე არ აძლევს მოსვენებას ეთიკის ველზე შეჭრილ ადამიანს და მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელიც კია, თუმცა ამას, რაღაც გაგებით, უნდა შევეგუოთ კიდეც. ეს მოხსენება ეძღვნება პეტერსონის შემობრუნების მიზეზების, მიზნებისა და პრობლემების მოკლე მიმოხილვას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **ჯეიმარ ბოლქვაძე**

არისტოტელესეული მეგობრობის თანამედროვე რეცეფცია

მეგობრობას, როგორც სათნოებას ჯერ კიდევ არისტოტელე განგვიმარტავდა „მეტაეთიკაში“. თუმცა სამი ტიპის მეგობრობა, რომელსაც ის გვთავაზობს არცისე შეესაბამება თანამედროვე გაგებას მეტწილად. როგორც სხვა სათნოებების უმეტესობას, ის მას გამომყენებლურად წარმოგვიდგენს და პრაქტიკულს ხდის.

ოსკარ უაილდის რომანში „დორეან გრეი“ ცალსახადაა გამოკვეთილი მეგობრობის არსი, ძალა, დანიშნულება...დორეან გრეი ლორდ ჰენრისთან დამეგობრების შემდეგ მისდამი პატივისცემას უფრო და უფრო უდგამს ფესვებს. იმ დონემდე მიდის, რომ ლორდი ჰენრის „ქადაგებას“ თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა აღასრულებს პირნათლად. აშკარაა, რომ დორეანის ტოქსიკურმა დამოკიდებულებამ ის ტრაგედიამდე მიიყვანა და ასევე ახლო მეგობარი (მხატვარი- რომლისგანაც სათნოებით ცხოვრება შეეძლო ესწავლა) შეიწირა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ მეგობრობაზე, როგორც გავლენის საშუალებაზე და მის საშიშროებაზე.

ზემოხსენებული შემთხვევების შედარება საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ და კარგად დავინახოთ მეგობრობის აღქმის ცვლილება საუკუნეების განმავლობაში. ასევე საშუალება გვეძლება ვიმსჯელოთ ქონდა თუ არა პოლიტიკურ სოციალურ მდგომარეობებს გავლენა მსგავსი აღქმების ჩამოყალიბებაზე.

იქედან გამომდინარე, რომ ყველა მსგავს თემას რაც ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული კავშირშია ადამიანის გონებასთან , ფსიქოლოგების ჩარევა და მათი მოსაზრება არანაკლებ მნიშვნელოვანია. „მეგობრობის ფილოსოფიური გაგება ასეთია – ურთიერთობა თანასწორთა შორის.“ - წერენ ფსიქოლოგები. ისინი მეგობრობის ჩამოყალიბების რამდენიმე ფაქტორს გამოყოფენ, როგორიცაა სქესი, ასაკი, გარემოებები, პირადი მახასიათებლები და ა.შ.

მაგალითები კინო ხელოვნებიდან. („წამალი“- რეჟსორი: პიტერ ჰორტონი. / „დიდი იმედგაცრუება“-რეჟისორი: ლოურენს კეზდანი. ზემო აღნიშნულ ფილმებში თავმოყრილია ის განსხვავებული ფაქტორები მეგობრობისთვის, რომელსაც ფსიქოლოგები გვისახავენ. ფილმები კი გარემოებების, წაკითხული ლიტერატურისა თუ პირადი გამოცდილების მიღმა, უდიდეს გავლენას ახდენენ ადამიანის ხედვაზე.

ფილმში „დიდი იმედგაცრუება“ მეგობრის თვითმკვლელობის შემდეგ ისინი არდადეგებს ერთად გაატარებენ. დიდი ხნის მეგობრები ერთმანეთს თავიანთ აწმყო ცხოვრებაზე უყვებიან, იხსენებენ წარსულს, სიამოვნებებს, ტკივილს და რა თქმა უნდა, სიკვდილს, რომელმაც ისინი ერთად შეყარა.მართალია დაძაბულმა და მეტად რთულმა მიზეზმა დაუბრუნა ისინი ერთმანეთს. თუმცა ფილმის რეცენზია იმედს იძლევა ფილმის გავლენაზე, ჩვენს მიერ მოგობრობის აღქმაზე.

ხოლო ფილმში „წამალი“ 11 წლის დექსტერს სისხლის გადასხმის შემდეგ შიდსს აღმოუჩენენ. თანატოლები სასტიკად დასცინიან სკოლაში და ის იძულებულია მთელი დღეები სახლში გაატაროს. დექსტერი თავისზე 6 წლით უფროს ერიკს უმეგობრდება, რომელიც მეზობლად ცხოვრობს. ერიკის დედა ეგოისტური ქალია. ის ცოტა დროს უთმობს შვილს და მის მეგობრობას არ ამართლებს. ერიკი დექსტერის დედის – ლინდასკენ იხრება, რომელიც კეთილი და გულისხმიერი ქალია, და მასთან მეორე ოჯახს პოულობს. ერიკი ცდილობს დამოუკიდებლად მოძებნოს წამალი და დაეხმაროს მეგობარს. ერთხელაც მეგობრეი ჟურნალში ამოიკითხავენ, რომ ახალ ორლეანში არის ექიმი, რომელიც შიდსს არჩენს. და ისინი გადაწყვიტავენ იშოვნონ ნავი და მისისიპის გაუყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვური ახირებები არცისე იმედის მომცემია, მაინც მოგვიწევს დაფიქრება, რადგან ბავშვი არასდროს ფიქრობს თავის საქციელზე, არასდროსაა პასუხისმგებელი, მათ გრძნობების გაყალბება არ შეუძლიათ და მუდმივად ტვინის ზედაპირიდან მოქმედებენ. შესაბამისად მათი ასეთი თავგანწირვა გვაფიქრებინებს, რომ მეგობრობის უნარი მათში კარგადაა ფესვ გადგმული.

და მაინც, ყველაზე კარგად ნებისმიერი თემის აღქმა და გააზრება შესაძლებელია როცა პირადი გამოცდილება გაქვს და საუბრობ საკუთარი სიტყვებით და არა გადმოცემული დოგმებით. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ პირადი გამოცდილება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია შენი აზროვნების და საკითხისადმი მიდგომის ჩამოყალიბებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **მარიამ კუჭავა**

ზომიერების პრინციპი და თანამედროვე სამყარო

„μηδὲν ἄγαν", წერია დელფოსის ტაძარზე. ე.წ. ოქროს შუალედი ასახულია ბუდიზმსა და კონფუციანიზმში, გამოხატულია მითში დედალოსისა და იკარუსის შესახებ. ზომიერების პრინციპი არისტოტელემ ფართოდ განიხილა „ნიკომაქეს ეთიკაში". მსჯელობას ის სიკეთის არსის გარკვევით იწყებს, რომელიც ნებისმიერი ქმედების საბოლოო მიზანია. უმაღლესი, სრულყოფილი მიზანი კი არის ბედნიერება. ბედნიერების ბუნების შესაცნობად არისტოტელე განიხილავს სულის სათნოებებს და ასკვნის, რომ მსგავს თვისებებს მსგავსი ქმედებები წარმოშობს.

არისტოტელეს მიხედვით, სათნოებები ისპობა ნაკლებობით ან სიჭარბით, ისევე როგორც ჯანმრთელობა - ზედმეტი ან ნაკლები საკვებით. „პოეტიკაში" არისტოტელე ჭეშმარიტი ტრაგედიის არსზე საუბრობს. იმისათვის, რომ პერსონაჟის თავს დამტყდარი უბედურება ჭეშმარიტად ტრაგიკული იყოს, ეს პერსონაჟი უნდა იყოს არა გამორჩეულად კარგი ან ცუდი, არამედ საშუალო, ჩვენი მსგავსი, როგორიც ოიდიპოსია.

ნებისმიერ საგანს ახასიათებს სიჭარბე, ნაკლებობა ან ზომიერება. ზომიერება არის შუალედი სიჭარბესა და ნაკლებობას შორის. მაგრამ შუალედი განსხვავდება მიმართებისდა მიხედვით, ამიტომ ის უნდა განვიხილოთ ჩვენთან მიმართებაში.

პითაგორელები თვლიდნენ, რომ ბოროტება უსასრულო, განუსაზღვრელია, ხოლო სიკეთე განსაზღვრული, ამიტომ პირველი მარტივია, მეორე კი ძნელი. ბოროტებას ახასიათებს სიჭარბე და ნაკლებობა, ხოლო სათნოებას - ზომიერება. ყურადსაღებია, რომ არ არსებობს სიჭარბისა და ნაკლებობის შუალედი, ისევე, როგორც შუალედის სიჭარბე და ნაკლებობა.

არისტოტელე გამოყოფს ათ სათნოებას, რომელთაგან თითოეული მოთავსებულია ორ უკიდურესობას შორის. ძნელია ადამიანი წესიერი იყოს, ამბობს ის, რადგან ძნელია

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შუალედის მიღწევა. გასაკიცხი ის კი არაა, ვინც ცოტათი აცდა გზას, არამედ ის, ვინც ძლიერად გადაიხარა, უკიდურესობას მიუახლოვდა.

უკიდურესობები და შუალედი უპირისპირდებიან ერთმანეთს. დიდი მეტად დაპირისპირებულია პატარასთან, ხოლო პატარა დიდს უფრო უპირისპირება, ვიდრე ეს ორივე - შუალედურს. ერთ-ერთი უკიდურესობა უფრო ახლოსაა შუალედთან, ვიდრე მეორე, რაც ორი მიზეზით აიხსნება: ერთი მხრივ, მსგავსებაგანსხვავების გამო, მეორე მხრივ, რასაც მიჩვეულები ვართ, ის უფრო დაპირისპირებული და შუალედისგან შორს მდგომი გვეჩვენება. საჭიროა, გავარკვიოთ, რისკენ უფრო მიდრეკილები ვართ, რადგან ყველას სხვადასხვა მიდრეკილება აქვს. ამის შესამოწმებელი ლაკმუსის ქაღალდი არის ტანჯვა და სიამოვნება, თუ რას განვიცდით ამა თუ იმ ქმედების დროს.

შუა საუკუნეებში არისტოტელეს მოძღვრება შემდეგ წაკითხვას ნახულობს: ბედნიერება ადამიანისთვის ღმერთის შეცნობაშია, რასაც ის ვერ ახორციელებს მიწიერი ცხოვრების დროს. ბედნიერება მხოლოდ ზღვარს მიღმა, სამოთხეში მიიღწევა. სიცოცხლის მანძილზე ადამიანი იძულებულია დასჯერდეს იმ არასრულ ბედნიერებას სათნოებებისა და მეგობრობის სახით, რომელზეც არისტოტელე საუბრობდა.

ოქროს შუალედის საკითხს უბრუნდებოდნენ ლიტურატურასა და კინემატოგრაფშიც. შექსპირის „კორიოლანოსში" ნაჩვენებია, თუ რა შინაგან წინააღმდეგობებამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სიამაყის ვერდათმობამ. არსებობს კრიტიკული მოსაზრებაც, ე.წ. „golden mean fallacy". „fallacy", ანუ სიმცდარე მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ორ პოზიციას შორის კომპრომისი აუცილებლად ჭეშმარიტია. მაგალითად, თუ ერთი მტკიცების მიხედვით, ცა ლურჯია, ხოლო მეორეს მიხედვით ყვითელი - ჭეშმარიტად უნდა მივიჩნიოთ კომპრომისული ვარიანტი, რომ ცა მწვანეა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი **თამთა ზაქარაშვილი**

სამართლიანობის შესაძლებლობა "მინიმალისტური სახელმწიფოს" კონცეფციაში

რა არის სამართლიანობა და როგორია სამართლიანი გადანაწილების პრინციპი? ეს ის კითხვებია, რომლებიც წამოჭრა პოსტპრაგმატისტმა, ამერიკელმა პოლიტიკის ფილოსოფოსმა, ჯონ როულსმა თავის ნაშრომში - „სამართლიანობის თეორია“. ნაშრომი გააკრიტიკა მისმა თანამედროვე მოაზროვნემ, რობერტ ნოზიკმა, უშუალოდ სამართლიანობის თეორიის საკითხში. როულსი მიიჩნევს, რომ სამართლიანობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა თანამშრომლობის ნაყოფის თანაბარი გადანაწილება იმგვარად, რომ არავინ იგრძნოს თავი დაჩაგრულად. ის ხაზს უსვამს განაწილების განსხვავებულ სქემებს: განაწილებას მოთხოვნის მიხედვით, უნარების მიხედვით და ა.შ. გარდა ამისა, მისთვის უმნიშვნელოვანესია იმის განსაზღვრა, თუ რომელი პროცედურაა გაცილებით უფრო სამართლიანი.

როულსის მიერ შემოთავაზებული სამართლიანობის პირველი პრინციპის ამოსავალი წერტილი ინდივიდუალური თავისუფლებაა, რომელიც გულისხმობს თანასწორობის ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების თანაბარ გადანაწილებას. როულსი, ინდივიდუალურ თავისუფლებაში, მოიაზრებს: სიტყვის და შეკრების, აზრის და სინდისის და პოლიტიკურ თავისუფლებებს. სახელმწიფოში იქმნება კანონები, რომელთა საფუძველზე უნდა იქნას დაცული ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებები. როულსს მიაჩნია, რომ ნებისმიერი მთავრობის მხრიდან, ინდივიდთა კონსტიტუციური უფლების თუნდაც მცირედი შეზღუდვა, აბსოლუტურად მიუღებელია.

როულსი გვთავაზობს თანასწორობისა და თავისუფლების ინტუიციური იდეების განსაზღვრას. იგი უარყოფს თანასწორობის უტილიტარისტულ გაგებას და მიიჩნევს, რომ უტილიტარიზმი სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს როგორც ადამიანებს, ასევე მათი ცხოვრების წესებს შორის განსხვავებებს. თუ გვსურს, რომ ყველა ადამიანს თანასწორობის საფუძველზე მოვეპყრათ, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განვიხილოთ, კერძოდ ის, რომ არცერთი ინდივიდი არ განიხილავს საკუთარ და სხვა ადამიანების ცხოვრებას

თანაბრად. სანაცვლოდ, როულსი გვთავაზობს კონტრაქტუალიზმს, რომლის მიხედვით, ადამიანები განიხილებიან გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სუბიექტებად და აქედან გამომდინარე, თითოეულ მათგანს აქვს ვეტოს უფლება.

თანასწორობისა და თავისუფლების ინტუიციური იდეების განსაზღვრის შემდეგ, შესაძლებელი გახდება სამართლიანი შეთანხმების პირობების განსაზღვრაც. ამიტომ, არავის უნდა ჩაეთვალოს დამსახურებად იმ ეკონომიკური თუ კულტურული კაპიტალის ფლობა, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო. როულსისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობები გამოსწორდეს ისე, რომ ისინი ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იყოს მიმართული.

როულსი თვლიდა, რომ საზოგადოება მეტ-ნაკლებად თვითკმარ ასოციაციას წარმოადგენს, რომელიც გააიგივა საერთო კეთილდღეობის მწარმოებელ კოოპერატივთან. საზოგადოების მსგავსი თანამშრომლობა უზრუნველყოფს, ყველა ინდივიდისთვის, ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას და უკეთესი სარგებელის მიღებას. სწორედ ამიტომ, როულსის იდეები გამოყენებულია სოციალური ლიბერალიზმის თეორიებში.

ნაშრომში - „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“, ნოზიკი განიხილავს დისტრიბუციული სამართლიანობის პრინციპს, სადაც აკრიტიკებს ჯონ როულსის სამართლიანობის თეორიას. მან მიიჩნია, რომ როულსის მიერ შემოთავაზებული სამართლიანობის თეორია, ხარვეზების შემცველია. მსგავსად ლოკისა, ნოზიკიც თვლის, რომ საკუთრება და საკვები, რომელსაც შეიძენს ადამიანი, არ შეიძლება რომ სხვების მიერ იქნეს მითვისებული. ეს ყოველივე, ნოზიკმა შეადარა უდაბნოში ერთადერთი ჩანჩერის მონოპოლიზაციას, რომელიც დაუშვებელია.

ნოზიკი თვლის, რომ თეორიები საკუთრების ქონის შესახებ, უნდა შეიცავდეს 3 ძირითად პრინციპს: 1. სამართლიანობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ თეორიამ უნდა ახსნას, თუ როგორ შეუძლია ინდივიდს, რომ გამოიყენოს ბუნების რესურსები; 2. სამართლიანი განაწილების პრინციპს; 3. სამართლიანი ანგარიშსწორების პრინციპს, რომელიც გულისხმობს დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდას და ასე შემდეგ.

მინიმალისტური სახელმწიფოს კონცეფციაში, სამართლიანია ყველა იმ სარგებელის მიღება, რომელსაც ადამიანი საკუთარი შრომით გამოიმუშავებს, ან რომელიც მემკვიდრეობით ერგება. როულსის მსგავსად, ნოზიკისთვისაც უმნიშვნელოვანესია

ადამიანთა ინდივიდუალური თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა. მინიმალისტური სახელმწიფოს კონცეფციის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს არარსებობა, რომლის გარეშეც, ფაქტობრივად წარმოუდგენელია სამართლიანობის პრინციპების დაცვა და ინდივიდებს უწევთ სხვადასხვა კავშირების შექმნა და ძლლიერ ძალასთან გაერთიანება საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით. სწორედ ამიტომ, ნოზიკისთვის, სახელმწიფოს შექმნის ერთადერთ მიზეზს ადამიანთა საკუთრების დაცვა წარმოადგენს, თუმცა იგი, სახელმწიფოში მოიაზრებს მინიმალური უფლებების მქონე, „გუშაგ-სახელმწიფოს“, რომელმაც არ უნდა შეზღუდოს ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებები.

ჯონ როულსის მიერ შემოთავაზებული სამართლიანობის თეორიის განხორციელება წარმოუდგენელია მინიმალისტურ სახელმწიფოში, რადგან საკუთრების გადაცემის საკითხში, ჯონ როულსი და რობერტ ნოზიკი ფუნდამენტურად განსხვავებულ იდეებს გვთავაზობენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტები **მაირამ ქოსაშვილი** და **ელიზა ეფაძე**

ფილოსოფია და რელიგია

ადამიანი თავის ცხოვრებას იმის მიხედვით წარმართავს, თუ როგორ ესმის ბედნიერება, უბედურება, სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი, თუ რაში ხედავს იგი ცხოვრების საზრისსა და მიზანს. თითოეული ადამიანის შეგნებაში თანდათან ყალიბდება გარკვეული წარმოდგენები ამ საკითხზე. ფილოსოფია იმავე საკითხებზე პასუხების ძიებით არის დაკავებული, რაც ნებისმიერ ადამიანს აღელვებდა უხსოვარი დროიდან. ამიტომ ადამიანს, ჩვეულებრივ, უჩნდება ნაცნობობის განცდა. ფილოსოფია ადამიანური თანასწორობისა და თავისუფლების გამოხატულებაა. ის ინტელექტუალურ გაბედულებას მოითხოვს, რადგან ყველაფრის კითხვის ქვეშ დაყენებას გულისხმობს.

განსხვავებით ფილოსოფიისა, რელიგია სულის მოთხოვნილებებზე მსჯელობს და აკმაყოფილებს მათ. ადამიანი მზერას უფალს მიაპყრობს, როდესაც სულიერადაა შეჭირვებული. მეცნიერება შემმეცნებელი გონების უდავო მიღწევების დემონსტრირებაა. იგი ცივილიზაციის ბურჯია და არა მარტო გვიხსნის ჭეშმარიტებას, არამედ ბევრად უფრო კომფორტულსა და ხანგრძლივს ხდის ადამიანის სიცოცხლეს. ფილოსოფია კი, პირიქით. ის შეულამაზებლად სთავაზობს ადამიანს სასტიკ სიმართლეს, უკანასკნელ ნუგეშს ართმევს მას. იგი, თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით, „უნგრევს“ ადამიანს ცხოვრების მოწყობის მისეულ წესს, არსებობის ტრაგიზმს „უშიშვლებს“ და გამოსავლის სახით, სხვადასხვა მოსაზრებას სთავაზობს მას, ე.ი. ფილოსოფია არჩევნის თავისუფლებას აძლევს ადამიანს, რათა მან თავად აგოს პასუხი საკუთარ ცხოვრებასა და არჩევანზე.
ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართება იღებს ცოდნისა და რწმენის მიმართების სახეს. შეუძლებელია ამ ორ თემას ისე შევეხოთ, რომ გვერდი ავუაროთ ცოდნისა და რწმენის საკითხს, მათ დაპირისპირებას ერთმანეთთან. ფილოსოფიისა და რელიგიის, როგორც ადამიანის სამყაროში ორიენტაციის ორი განსხვავებული სტრატეგიის მიზანია, გაათავისუფლოს ადამიანი პრობლემების ტვირთისგან და მისცეს იმედი. ფილოსოფია ამას

ახორციელებს ცოდნის, რელიგია კი რწმენის მეშვეობით. მაშინ, როცა ფილოსოფიისა და რელიგიის რაობაზე, მათ ურთიერთმიმართებაზე, განსხვავებებზე ვსაუბრობთ ერთმანეთთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კარლ იასპერსის სუბიექტური, განსაკუთრებული დამოკიდებულება რელიგიისადმი. იასპერსთან თანამედროვე ადამიანის ექსისტენციალური ყოფნა წარმოდგენილია, როგორც ყოფნა ადამიანის ექსისტენსის ძახილსა და ფილოსოფიურ რწმენას შორის. იგი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება შეიძლება განიმარტოს მხოლოდ გონების მეშვეობით. მაგრამ ადამიანის თავისუფლება შეუძლებელია განიმარტებოდეს და მყარდებოდეს მხოლოდ გონებით, არამედ ტრანსცენდენტის შემოჭრით რაციონალურ აზროვნებაში.

იასპერსის რელიგიის ფილოსოფიის მთავარი იდეა და მიზანია ფილოსოფიური რწმენის ფენომენი და მისი დაფუძნება. ფილოსოფიური რწმენა ერთგვარი იარაღია ადამიანისთვის თანამედროვე სამყაროში ადამიანად დარჩენისთვის, თვითგადარჩენისთვის.

ასე რომ, ადამიანის სულიერი კულტურის ფორმები, კონკრეტულად კი სულიერი მოღვაწეობის აქ დახასიათებული სფეროები – რელიგია და ფილოსოფია, აბსოლუტურის წვდომისაკენ ილტვიან. მათ მთავარ მიზანს აბსოლუტური არსის წვდომა წარმოადგენს, რომელსაც ისინი სხვადასხვა ფორმით, საშუალებითა და დონით ახორციელებენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **საბა ბულისკერია**

ადამიანი, როგორც ხიდი არსებობასა და არსებას შორის

ადამიანი დიადი არსებაა თავისი მრავალი თვისებით,მაგრამ გამოსარჩევია უმთავრესი რამ, ადამიანს არ შეიძლება ვუწოდოთ დაბალი ან მაღალი რანგის არსება (ის არ იბადება ასეთად, თავისი ნებით ირჩევს გზას), ადამიანი დგას ხიდზე, რომელიც თავად არის ხიდი, სწორედ ის ხიდი, რომელმაც უნდა დააკავშიროს მაღალ მატერიალურ სამყაროსთან ყოფითი არსებობა, ადამიანი თავად არის ის ხიდი რაზედაც დგას, გარდამავლობის პროცესი ადამიანის შიგნით უნდა მოხდეს, რაც აუცილებლად აისახება მეტამოროფოზების სახით,ყველა ადამიანში დევს მისწრაფება, რომ გამორჩეული იყოს, მაგრამ არიან ადამიანები, რომელბიც მხოლოდ მატერიალურ სამყაროში ყოფას ამჯობინებენ, მათში ჩახშულია წვდომა ისწრაფოდე ზეკაცობისაკენ, ასეთი ადამიანები ვერ გაუმკლავდებიან ნიჰილიზმის ზეწოლას იშთანთქებიან კიდეც მასში, მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია გაიმარჯვოს ვისაც ბრძოლის და აჯანყების სურვილი გააჩნია, სწორედ ბრძოლის შედეგად გადავალთ ხიდის მეორე მხარეს და შევიგრძნობთ რას ნიშნავს ვიყოთ ზე კაცნი ! და დიახ აუცილებლად გადმოვიხედავთ ზემოდან იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც ბრძოლა არ ისურვეს და მატერიალური მისწრაფებები არჩიეს აჯანყებას, პირველ რიგში საკუთარ თავთან.

ადამიანი არ არის მარტო, მასში ცხოვრობს მრავალი არსება, რომლებიც გვეხმარებიან ფეხის კანკალით გადავლახოთ ეს ბეწვის ხიდი, რომლზედაც ჩვენ ვდაგავრთ, მაგრამ ვინ არიან ? რა უნდათ ჩვენგან? ეს კითხვები ალბათ ყველას გაუჩნდება და ლოგიკურიც არის, ეგ არსებები ისინი არიან, ვისზედაც ადამიანის არსებობის გაჩენისთანავე ვლოცულობდით, ვლოცულობთ და ალბათ დიდხანსაც ვილოცებთ კიდევ, ჩვენ არ შეგვიქმნია ისინი, ჩვენ მათთან ერთად დავიბადეთ, ერთიანობა შეიქმნა და ჩამოყალიბდა ისეთ იდეალურ და რთულ არსება, როგორიც ადამიანია, ჩავთვალოთ, რომ ადამიანი მათ გარეშე არის მოჭრილი და მატლდახვეული კუნძი, რომელიც არავის სჭირდება და ნელი და მტანჯველი სვლით იხრწნება, განა რამე იქნებოდა მხოლოდ ადამის არსებობა ლილითი რომ არ ყოლოდა და შემდეგ ევა? რატომ მაინც და მაინც ლილითი და ევა? თავისით ვერ ჩამოყალიბდებოდა ადამიანად? სწორედ ადამი აქციეს ლილითმა და ევამ

ადამიანად. მათ ორივემ ჩაჰკიდეს ხელი და გადაიყვანეს ბეწვის ხიდზე, რა იქნებოდა მხოლოდ ევა რომ ჰყოლოდა ადამს ან მხოლოდ ლილითი? ადამი ვერ შეძლებდა საკუთარი თავის სრულყოფას, ის ხიდზე კი არა ხიდამდეც კი ვერ მიაღწევდა. ადამი ადამიანის ცარიელი პროტოტიპია. შეიძლება მას მატლდახვაული კუნძიც კი ვუწოდოთ.

ადამიანი, როგორც არსება, რაც უნდა მარტო იყოს ვერასოდეს იქნება რეალურად მარტო, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა იყო მარტო, როდესაც გამუდმებული ბრძოლა მიდის შენ შიგნით? ადამიანი როგორ უნდა იყო მარტო, როდესაც შენ შიგნით ყოველდღიურად მიქაელი ლუციფერს ერკინება და ზევსი ჰადესთან პაექრობს? არავინ არ დაიჯეროს ის, რომ ადამიანი ოდესმე განიცდიდეს შინაგან მარტოობას. ადამიანის შინაგანი სამყარო შეიძლება შევადაროთ მრგვალ შრეებს, რომელთა შუაგულებში ბრძოლის რინგია, სულ ღრმად ჩაბუდებული რინგი ადამიანში ეგოა, რომელიც ამ ბრძოლების ეგრეთ წოდებული მაყურებელი და მსაჯია,ეს ბრძოლები ადამიანს როგორც შინაგანად,ისე გარეგნულ ქმედებებშიც გვეხმარება. სანამ შინაგან უშუალოდ პერსონაჟების ბრძოლაზე ვისაუბრებდე მენდე შევეხო თუ რა ხდება გარეთ.

ადამიანმა თავად უნდა შექმნას არსება, უნდა იცხოვროს არსებისთვის და არა არსებობისთვის. არებობისთვის მებრძოლი ადამიანის შინაგანი ბრძოლათა შინაარსი და სანახაობა ყატარის საფეხბურთო ჩემპიონატს მოგვაგონებს, არსებისთვის მებრძოლის შინაგანი ბრძოლები კი ჩემპიონთა ლიგის ტურნირს. არსებობისთვის მებრძოლ ადამიანს შესისლხორცებული აქვს მხოლოდ მატერიალური მისწრაფებები ის არც ზემოთ იყურება და არც შიგნით, მხოლოდ ქვემოთ აცეცებს თვალებს, რათა ღირებული, მატერიალური სარგებლის მქონე ნივთი იპოვოს. მსგავსი ადამიანი გაჯერებულია ნიჰილიზმის სენით, მისთვის არ წარმოადგენს არანაირი ღირებულება მნიშვნელოვან ღირებულებას. მსგავსი ადამიანისთვის ისეთი საკითხები, რომლებიც მატერიალურ სარგებლის მოტანას სცდება სულერთია. წარმოდგენაც არ მინდა, რას გრძნობენ მასში მცხოვრები არსებები. ღირებულებების უგულებელყოფა, აი რა იწვევს ადამიანის დეგრადირებას. თუ ყოველ წამიერად ჩვენს შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა რატომ არ შეგვიძლია ეს მატერიალურ სამყაროშიც გადმოვიტანოთ და ვიბრძოლოთ, ავჯანყდეთ უსამართლობის წინააღმდეგ? დაცემის გვეშნია, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენი ცეცხლოვანი არწივი ფენიქსიც ცხოვრობს, რომელიც აუცილებლად აღგვადგენს ფერფლიდან. დაცემა გარდაუვალი პროცესია, ეს საწინდარიც კი არის ბრძოლაში გამარჯებისთვი. ხიდზე გადასვლა მარტივი როდია. ამ ხიდზე გადასვლა ბრძოლით მოხდება, მრავალი ფიცარი და თოკი გაწყდება,

მაგრამ აუცილებლად ხელს ჩაგვჭიდებენ ჩვენში ჩაბუდებული კეთილი არსებები, მაგრამ ბოროტი თუ არ უმზერს ცეცხლოვანი თვალით კეთილი არ წაგვეშველება, ამიტომ ქმნის ერთიან სრულყოფას ორი საპირისპირო რეაქციის მქონე მატერია. მათი ერთობლიობაში ქმნადობა გამოგვიშვერს დახმარების ხელს ფიცრის ჩატეხვის შემთხვევაში. წარმოიდგინეთ დიდი ხიდი, რომლის ქვეშაც აღელვებული ნიჰილიზმის მდინარე მოედინა და შიგნით არებობისთვის მცხოვრები ადამიანები ცვივიან, რომლებსაც ნავზე წამომჯდარი ქარონი ელოდებათ. ხიდდთან მისვლა გადასვლაზე უფრო რთული პროცესია, დიდი ძალისხმევაა სჭირდება ადამიანს ჯერ უბრალოდ ხიდის დანახვისა და მერე მისკენ დაბიჯის გადადგმისათვის. მივუახლოვდებით თუ არა ხიდის საწყისს დავინახავთ სინათლეს, დიად სინათლეს, სადაცა მაღალებული ადამიანების სჯა-ბაასი ჩაგვესმევა ყურში, მაგრამ არ უნდა დაგავავიწყდეს, რომ გოდებასაც გავიგებთ ნიჰილიზმის მდინარეში ჩაცვენილი ადამიანებისა, რომლებიც აქლემებად ქცეულან და შველასაც კი არ ითხოვენ, არამედ დაბრუნებას, რათა უფრო მეტი მოიხვეჭონ. რა უნდა იყოს იმაზე საშინელი, როდესაც სინათლეს ხედავ, მაგრამ არ გინდა სინათლის დანახვა. ბეწვის ხიდზე თითოეული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ვიგრძნობთ, თუ რაოდენ სანუკვარია ასე ნელ-ნელა და უხვად შემოდიოდეს შენში სინათლე. პირველი ფიცრის გადალახვა ნიშნავს საკუთარი იდენტობის დაცვის უნარს, შემდეგი შენი ოჯახის. რა არის ისეთი კაცი რომელიც არ იცავს თავის ოჯახს? ასეთი კაცი დამპალ კუნძზეც კი უარესია. შემდეგ მოდის შენი სიყვარულის ინსტინქტი, შენი მიწის, არამარტო სიყვარული, არამედ დაცვის უნარის არსებობა. თუ ყოველდღიურად ზევსი და ჰადესი ერკინებიან ჩვენს შიგნით, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ვიბრძოლოთ ჩვენი მიწისთვის და ხალხისთვის? დაცემის შიშმა თუ გაგვიელვა უმალ ვიგრძნობთ ფენიქსის ფრთების ფარფატს, ნამდვილი კაცმა ეს ფიცრები რომ გადალახოს. აუცილებლად სჭირდება ფიზიკური სიმყარე, ჩვენში უნდა მოვიხმოთ დიონისური სიძლიერე და გავაკაჟოთ სხეული, რათა მტკიცედ შევძლოთ ჩვენი ღირებულებების დაცვა, მაგრამ რაში ვარგია გაკაჟებული სხეული თუ მას ცოდნა არ გააჩნია? თუ ხიდის ბოლოს მხოლოდ გაკაჟებული სხეულით და ცარიელი თავით მივუახლოვდით უმალვე ჩატყდება ხიდი და ნიჰილიზმის მდინარეში აღმოვჩნდებით!

ხიდზე წინსვლასთან ერთად მრავალი მორალური დილემა აღიმართება ჩვენ წინ. თუ ჩვენ ამ განსაცდელებს წარმატებით გადავლახავთ აუცილებლად მივუახლოვდებით ხიდის ბოლოს. ჩვენს ოჯახთან ხალხთან და მიწასთან ერთად ჩვენს წინაშე აუცილებლად დადგება რასობრივი დილემა. ჩვენ ვერ შევაღწევთ სინათლეში თუ ჩვენი რასის წარმოშობას

უარვყოფთ და რასობრივ აღრევაზე არ გვექნება ზიზღის შეგრძნება სამყაროში არ არსებობს დეტალი თუ ენერგია, რომელსაც საკუთარი დანიშნულება არ გააჩნდეს. შავ რასას თავისი დანიშუნულება აქვს თეთრს თავისი და მონღოლოიდურს თავისი და თუ ისინი ერთმანეთში აირია რას მივიღებთ? არაფერს,არაფერს გარდა ქაოსის სიყალბისა და სამყაროს გადაგვარების გზის გაკვალვისა. ხიდზე გადასვლის უმთავრესი ღირებულების დაცვა სწორედაც რომ საკუთარი რასის შეუბღალავი დაცვაა.

ნიჰილიზმის მდინარეში გადაცვენილი ადამიანები აქლემებს მოგვაგონებენ. წარმოიდგინეთ როგორ ეშვებიან ადამიანები მდინარეში. რაც უფრო უახლოვდებიან მდინარეს მით უფრო ემსაგვსებიან აქლემებს, ჯერ კუდი გამოეზრდებათ შემდეგ ბალნით ეფარებათ სხეული, დგებიან ოთხ ფეზე, კუზები ამოსდით და ასე აქლემის სახით ეხებიან მდინარეს და ბოლოს ლაპარაკის უნარი ერთმევათ და მხოლოდ ფურთხებით ითხოვენ დაუბრუნდნენ იმ მდგომარეობას, რასაც მატერიალური მომხვეჭელობა ეწოდება.

ხიდთან მიახლოებულ ადამიანს ლომის სახე აქვს. ის აჯანყდა, ბრძოლა ისურვა, რაც ლომის მდგომარეობის პირველი ნიშნებია. რაც უფრო მიიწევს წინ ლომის სახეს კარგავს ადამიანი და ბავშვის ნაზ სახეს იღებს და სწორედ ბავშვის სახით შეაბიჯეს ის სინათლეში. სიანთლეში მდგომი ადამიანი, რომელმაც მიაღწია ზეკაცის მდგომარეობას სიამაყით და დამცინავი მზერით გადმოხედავს ნიჰილიზმის მდინარეში მოტივტივე აქლემებს, რაც უნდა დახმარება ითხოვონ მათ ხელს არ გაუწვდეს ზეკაცი, რადგან მათ არ ისურვეს ებრძოლათ და აჯანყებულიყვნენ ნიჰილიზმის მდინარეში ყოფნან აიძულად ისე დაცემულიყვნენ, რომ დახმარება ეთხოვათ, მაგრამ ისინი ვერასოდეს მიიღებენ მოწყალებას, რადგან მათ არ ისურვეს ბრძოლა.

ხიდის გარშემო ყალბი სათნოებით გატენილი მღვდლები და ქურუმები დგანან, რომლებიც ადამიანებს აბრკოლებენ და უბიძგეებენ ჩაცვივდნენ ნიჰილიზმის მდინარეში. ისინი შემოქმედის სიტყვას არიან ამოფარებულნი და ასე აბრმავებენ ადამიანთა მოდგმას, ეუბნებიან, რომ არ იზრუნონ სხეულზე. მათ აშინებთ ადამიანების განათლება, რადგან კონტროლს დაკარგავენ უმრავლესობაზე და ხალხი დაადგება ხიდის გზას. ისინი ღვთის სიტყვას ამოფარებული ყალთაბანდები არიან, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ადამიანები არ დაადგენ სინათლის გზას. მატერიალური არსებობისა მაგალითებად სწორედაც რომ თვითონ არიან და ყველაზე დიდი ადგილია მათთვის შემონახული ნიჰილიზმის მდინარეში. ქერონი ნავზე ყველას დატევს მათივე სიმდიდრეებთ. ისინი იშველიებენ ისეთი ადამიანების სახელებს ადამიანთა დასაბრკოლებლად, რომლებმაც

ერთ-ერთმა პირველებმა გაიარეს ამ ხიდზე და მიუახლოვდნენ სინათლეს. გამუდმებით ახსენებენ იესო ნაზარეველს და მისი სახელით აშინებენ ხალხს. იმ იესო ნაზარეველის სახელს, რომლემაც დაანგრია ყველა კერპი და ერთ-ერთმა პირველმა გაიკვალა ხიდზე გზა. აღმოსავლეთი გაუტამას და კრიშნას სახელს აკნინებენ, რომლებიც იესოსთან ერთად გაუდგენენ ამ გზას. მათ დააღწიეს თავი ნიჰილიზმის მდინარეს და სინათლეს შუეერთდნენ, მღვდლები კი მათი სახელის მეშვეობით უბიძგებენ ადამიანებს ამ მდინარეში გადავარდნისაკენ.

სინათლემდე მიღწევა როდი იქნება ადვილი, აუცილებელია ამ გზაზე მრავალი ტკივილი და ტრაგედია შეგვემთხვა. ტრაგედია აუცილებელია, რათა უფრო ძლიერები ავდგეთ და როდესაც დავეცემით აუცილებლად გავიგონებთ ჩვენში ჩაბუდებული ფენიქსის თქარუნს. რა გემო აქვს ისეთ გამარჯვებას, რომელიც არანაირი დაბრკოლებით არ იქნა მიღებული ? ამ თემაზე ძაალიან მკაფიოდ საუბრობს გერმანული ფილოსოფიის საუნჯე ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფრაზა „რაც არ გვკლავს,გვაძლიერებს“. არაფერია თუ არა ამ გზაზე დაცემის და კვლავ აღდგომის ფენომენი. განა იესო ნაზარეველის აღდგომაც ამის ალეგორია არ არის? ჯვარზე გაკვრა, ტკივილი, სისხლი და კვლავ აღდგომა. იესო არის ფენიქსის შესისლხორცებული არსება, რომელიც გვასწავლის ამ ხიდზე სიარულს თავისი ტკივილებითა და კვლავ აღდგომით.

ფრიდრიხ ნიცშეს მთავარი მიზანი იყო ხალხისთვის თვალი აეხილა და ხიდის გზაზე დაეყენებინა. მან დატოვა ეპოქალური მოძღვრებები, რის შედეგადაც ადამიანს მიეცა შესაძლებლობა, დააღწიოს თავი არსებობას და გუადგეს გზას ხიდისაკენ და შექმნას არსება, არსება, რომელსაც ნიცშემ ზეკაცი უწოდა. ნიცშეს ტალახი ესროლეს მღვდლებმა და ქურუმებმა, რადგან მან მოუწოდა ხალხს შეშვებულიყვენენ კერპების რწმენას, დაეთრგუნათ მათში გამეფებული მორჩილების მოთხოვნილებები და აეშენებინათ საკუთარი თავი. ეს მოწოდებები, რაღა თქმა უნდა, ძირს უთხრიდა რელიგიის სახელით მოლაპარაკე სვავებს, რის გამოც ნიცშეს იდეა ბოროტ ძალებთან გააიგივეს და დღემდე სალანძღავი ფიგურაა აქლემთათვის. ნიცშეს სიტყვები „ღმერთი მოკვდა“ არაფერია თუ არა იესო ნაზარეველი იდეის სიკვდილი ადამიანში. მისი სახელის არასწორი ინტერპრეტირება სასულიერო პირებისაგან, იესოს სახელით სვლა ნიჰილიზმის მდინარეში. ყველა ისეთი ღმერთი მკვდარია, რომელიც ადამიანს სინათლისკენ არ წარუძღვება. ნიცშემ ამ ფრაზთ საბოლოოდ გაითხრა სამარე კერპთაყვანისცემლთა თვალში, მაგრამ დატოვა დიდებული იდეა, იდეა, რომელიც გვეხმარება გადავლახოთ ის დაბრკოლებები, რომლებიც ხიდის

გადალახვას ერთვის. აუცილებლად უნდა მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რითაც დავიწყე. თუ ადამიანი არ იქნება არც ხიდი და არც სინათლე, როგორც აღვნიშნე, ადამიანად გვაყალიბებს, ჩვენში არსებული მითოლოგიური ღვთაებები, აქედანვე მოწმობს, თუ რაოდენ მეტაფიზიკური არსებაა ადამაიანი მისი შინაგანაი ტრანსეცედენტალური ბრძოლებით. ადამის არსებისა და მატლდახვეული კუნძის არსება უკვე განვიხილეთ. ლილითს ევასა და ადამის გარდა ჩვენში ცხოვრობს ლუციფერი და მიქაელი. ბრძოლა ერთგულ ანგელოზსა და აჯანყებულ ანგელოზს შორის. ყოველდღიურად მიმდინარეობს ჩვენს შიგნით მათი ბრძოლა. როდესაც ჩვენ ერთგულებას გამოვხატავთ მაგ შემთხვევაში იმარჯვებს მიქაელი, მაგრამ როგორც კი პროტესტის გრძნობა გაგვიჩნდება ლუციფერი დაწინაურდება. თუ არ იქნებოდა ერთგულება, ვერ იქნება აჯანყება და პირიქით თუ აჯანყება არ იქნება, ვერ იქნება ერთგულება, ამიტომ აუცილებელია გავუძლოთ იმ ბრომლის ყიჟინას, რომელსაც ყოველწამიერად მიქაელი და ლუციფერი გამოსცემენ ჩვენს შიგნით.

ერთი შეხედვით ზევსისა და ჰადესის პიროვნებები შესაძლოა სიბნელისა და სინათლის დაპირისპირებად მოგვეჩვენოს, ბოროტისა და კეთილის, სინამდვილეში კი ასე ნამდვილად არ არის. ვინ არიან ზევსი და ჰადესი ? ერთი ხის ორი ნაყოფი. ისინი არასოდეს ჩხუბობენ. მათ დიდი ჭადრაკის დაფა აქვთ ჩვენში გაშლილი. ისინი თამაშობენ დაუღალავად, კინკალაობენ თამაშის მსვლელობისას, მაგრამ მალევე ძმობას ფიცულობენ, ეს დაუღალავი ჭადრაკის თამაში შესაძლოა მოგვეჩვენოს, როგორც ხასიათების წამიერი ცვალებადობა, რაც ოფსესური ასშლილობის სახით ვლინდება ადამიანში. სწორედ ზევსის და ჰადესის ჭადრაკის თამაშისგან მომდინარეობს, რაც უფრო სიღრმეებში მივდივართ ვუახლოვდებით შუაგულში ჩაბუდებულ ეგოს, მით უფრო მეტად მძაფრდება არსებების ჭიდილი ჩვენს შიგნით. შემდეგ რინგზე ეროსი და ფსიხე არიან. როგორ შეიძლება ვსაუბრობდეთ ადამიანის არსებაზე და მასში არ მოვიხსენიოთ ეროსი. სწორედ ეროსია შემაკავშირებელი ღვთაებრივი ძალა. როგორც პლატონი წერს თავის დიალოგ „ნადიმში“ ეროსი იყო პირველი არსება. ის იყო მდედრობითიც და მამრობითიც, სქესის წარმოშობა სწორედ ეროსის შუაზე გახლეჩვის შედეგია. ეროსი რომ არა ადამიანს არ ექნებოდა სიყვარულის და ვნების უნარი. ეროსი უფრო მეტად ქალ- ვაჟური სიყვარულის ალეგორიაა, ვიდრე რაიმე მაღალი მდგომარეობისა. ეროსის არსებობა ადამიანს ავალდებულებს გაუჩნდეს სიყვარულის გრძნობა საპირისპირო სქესის ადამიანის მიმართ. სადაც ეროსია აუცილებლად მის გვერდით ფსიხეც უნდა იდგეს. ეს ორი არსება ქმნის სიყვარულის

უანგარო ძალას. ფსიხე მაგალითია უანგარო და ბრმა სიყვარულისა, რომელიც მხოლოდ სიბნელეში ხედავს ეროსს, არანაირ ეჭვს არ ბადებს მის არსებობა. შეიძლება იშვიათად აისახოს ადამიანში ასეთი უანგარო გრძნობა, მაგრამ ის მაინც დევს ადამიანის შიგნით. ასეთ დადებით საწყისს, როგორიც ეროსია მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს გვერდით მისი საპირისპირო. ზიგმუნდ ფროიდის შეხედულებით, ეროსს ყველაფერი დადებითი მოაქვს და ის ამდიდრებს ადამიანის ლიბიდოს. ეროსის გვერდით ცხოვრობს თანატოსი, რომელიც ასეთ დადებით ენერგიებს თავისთავში ბოჭავს და არ აძლევს გამომჟღავნების საშუალებას. იგი მისწრაფებულია მხოლოდ უარყოფითი ქმედებების ჩადენით, და არანაირი სათნოების გამოხატულებით. ეროსისა და თანატოსის შემდეგ აუცილებელია ვახსენოთ შემდეგ სარბიელზე დაპირისპირებული ჩვენში ჩაბუდებული დიონისე და აპოლონი. ისინი ორი სრულიად საპირისპირო ღვთაებაა, რომლებიც ანტაგონისტურად არინ ჩაბუდებულნი ადამიანის შიგნით. მათი ბრძოლა აისახება ადამიანის შემოქმედუნარიანობაში. ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშეს თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ აღწერს ამ ორი ღვათებისებური ტიპის ადამიანების ყოფას, აპოლონი უძრავია ის ყველაფერს ადვილად ეგუება. არ ცდილობს მიიღოს რადკალური გადაწყვეტილებები, ის მარტივად ეგუება ყველანაირ მდგომარეობას და ინარჩუნებს თავის უცვლელ უძრავ სახეს, არ განიცდის არანაირ მეტამორფოზას, რაც შეეხება აპოლონს, აპოლონი ბობოქარია, ბუნებასთან აახლოვებს ადამიანს, ის გამუდმებით წინ მიიწევს, ცდილობს აჯანყებას პატარა უსამართლობაზეც კი, თრთის და ცდილობს ომის წამოწყებას, თავისი პრინციპების დაცვას, სურვილების სისრულეში მიყვანას. დიონისური ქცევა სწორედაც ხიდზე დადგომის საწინდარია, მაგრამ დიონისე არ იქნება რომ არ არსებობდეს აპოლონი.

უფრო მეტად მივიწევთ წინ ადამიანში ჩაბუდებული არსებებთა შორის და სანამ უკანასკნელ ადგილას ჩაბუდებულ ეგოს მივადგებოდეთ უნდა მივიდეთ ნარცისთან და სიზიფესთან. ეს ორი ღვთაება წარმართავს თანამედროვე ადამიანის ფსიქოტიპს. ნარცისი ადამიანი მე-20-21-ე საუკუნის ადამიანია. დღევანდელ ეპოქაში ადამიანს ყველაზე მეტად უყვარს საკუთარი თავი, ზრუნავს საკუთარ კეთილდღეობაზე. იმდენად უყვარს საკუთარი თავი, რომ სხვისი სიყვარულის უნარი აღარ შესწევს, მაგრამ რომ არა ჩვენში მცხოვრები ნარცისი ვერასოდეს დავინახავდთ იმ ხიდს, რომელზედაც აუცილებლად უნდა გავიაროთ. ზედმეტი ნარცისიზმი კი იწვევს სიზიფეს აბსურდული შრომა, რაც აუცილებლად გამოწვეული ნარცისისტული გადაჭარბებისგან. ნარცისი და ეროსი (მხოლოდ სექსუალურობის ნაწილი) ერთმანეთს ეკვრიან და ასე ყალიბდებიან ადამიანში, რაც იწვევს

ადამიანის მომაკვდინებელ სიყვარულს საკუთარ თავისადმი. დღევანდელ ადამიანში ნარცისიც და სიზიფეც ჭარბობს მათი გადამეტება კი ყველა შემთხევაში სიკვდილით მთავრდება. ნარცისის ჭარბი რაოდენობით ეროსს ვთრგუნავთ (საპირისპირო ადამიანსკენ სწრაფვას) ჩევნში და ისე დავიღუპებით, როგორც თავად ნარცისი დაიღუპა საკუთარ თავის ყურების პროცესში. რაც შეეხება სიზიფეს, აბსურდული შრომა რომელსაც არ მივყავართ გადასასვლელ ხიდამდე აუცილებლად ჩაგვავგდებს ნიჰილიზმის მდინარეში და ბეჭებზე მოკიდებული ქვაც ზედ დაგვეცემა.

და აი საბოლოოდ მივადექით ჩვენში ჩაბუდებულ ეგოს. ეგო დროის გასვლასთან ერთად იწყებს გაბერვას და გაზრდას. თუ ადამიანს არ გააჩნია ეგო ისიც ჩვეულებრივი მატლიანი კუნძია, რომელზე დაჯდომასაც კი არავინ იკადრებს. ეგო იწყება მოთხოვნილებებიდან, ეს მოთხოვნილებები თუ სწორი გზით წარიმართება არსების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, მაგრამ თუ საკმარისზე მეტად გაიბერა ძაალიან ადვილად გასკდება და პირდაპირ ჩაეშვება ნიჰილიზმის მდინარეში. ეგოს არასაკმარისზე მეტად გადიდება უფლებას არ მოგვცემს შევეგუოთ იმას, რომ შეიძლება დავეცეთ გზად, მაგრამ ეგოს სრულიად არქონა საერთოდ არ დაგვაყენებს სინათლის გზაზე, ამიტომ ახვევია ჩვენში ჩაბუდებული არსებები გარს ეგოს, რათა მისი ბალანსირება შესაძლებელი გახდეს. ეგოს შეუძლია მათი დირიჟორი იყოს ისევე, როგორც მათ შეუძლიათ ეგო აკონტროლონ. ურთიერთკონტროლი ჩამოაყალიბებს ჰარმონიას. რომელიმე მთგანის დაწინაურება დააღვევს ბალანს ან ეგო დაღუპავს არსებებს ჩვენს შიგნით, ან ეგოს გაანადგურებენ ისინი, ორივე ვარიანტში ირღვევა ბალანსი.

საბოლო ჯამში ადამიანის მთავარი მოტივი უნდა იყოს არა არსებობა, არამედ არსების შექმნა საკუთარ თავში, ამ ეკლიან გზაზე კი ღვთაებრივი არსებები გვეხმარებიან, რომლებმაც თავად შეგვქმნეს და ჩვენვე შევქმენით ისინი. არამც და არამც არ უნდა იქნას არცერთი არსება ჩვენში დათრგუნული, წინააღმდეგ შემთხვევაში შევიქნებით დამპალ კუნძებათ. ეგ არსებები გვაყალიბებენ ადამიანად და შემდეგ ჩვენში ვქმნით ჩვენივე არსებას. ამ გზაზე ყოველთვის შეიძლება დაგვისველდეს ფეხები ნიჰილიზმით, ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ არცერთი წუთი არ უნდა მოვდუნდეთ და ყოველთვის წინ უნდა ვიხედოთ. დავეცემით უმალ ფენიქსი მოფრინდება ჩვენთან, მოვუსმინოთ შიანაგან ხმებს, ვესწრაფოდეთ ბუნებასთან შეერთებისთვის, ვცეთ პატივიცი ბუნებას, შევიყვაროთ იგი და ბუნება არასოდეს დაგვრჩება ვალში, მას როგორც სიკეთის, ისე სისატიკით შეუძლია პასუხის დაბრუნება!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი **ნონა მაჭავარიანი**

ეკრანი, როგორც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი

ჩვენ ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ვცხოვრობთ. ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები ოცდამეერთე საუკუნის ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მატულობს მათი მოხმარების სიხშირე და მასშტაბები. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი, რამდენად სასარგებლო ან საზიანოა მათი გამოყენება ადამიანისთვის. ციფრულ ტექნოლოგიებში იგულისხმება სხვადასხვა ფუნქციის მქონე ეკრანიანი ელექტრომოწყობილობა, როგორიცაა ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტლეფონი, პლანშეტი და სხვა. ეკრანდამოკიდებულება დღევანდელობის ძალიან დიდ პრობლემად გვევლინება.

რამდენიმე ათეული წლის წინ ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა თუ რა ადგილს დაიკავებდა ინტერნეტი და ტექნოლოგიები ადამიანის ცხოვრებაში. გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხდება ადამიანის ღირებულებების გადაფასება, მოთხოვნილებათა შეცვლა. ეს ყველაფერი კი მთლიანად ცხოვრების წესის შეცვლას იწვევს. ინტერნეტიც ცვლის ჩვენი ცხოვრების წესს. ის ხომ ჩვენს დროში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში სხვაგვარად ცხოვრება ალბათ ძალიან ცოტას თუ წარმოუდგენია. გარემოებების გათვალისწინებით ადამიანების სამსახური, განათლება და ურთიერთობები სწორედ ინტერნეტზე გახდა დამოკიდებული.

მაინც რატომ ეჯაჭვება ადამიანი ეკრანს?! ამ კითხვაზე, ალბათ შეუძლებელია, გავცეთ ერთი კონკრეტული პასუხი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ თითოეული ადამიანის ინდივიდუალიზმს, მათ განსხვავებულ დამოკიდებულებებს, მსოფლმხედველობას და ღირებულებებს. თუმცა რამდენიმე ასპექტის გამოყოფა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია.

არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტი სოციალიზაციის მთავარი იარაღია. ადამიანი სოციალური არსებაა და სურს თვითგამოხატული იყოს. მაგრამ პარადოქსს ჰგავსს ის ,

რომ ამ ყველაფერს ის სოციუმისგან იზოლაციაში, მხოლოდ საკუთარი სმართფონის საშუალებით აკეთებს. ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებები არიან, უფრო რეალიზებულად გრძნობენ თავს. მაგრამ რამდენად შეესაბამება ვირტუალურ სივრცეში მოპოვებული პოპულარობა და პატივისცემა რეალურს?! ან რატომ ვერ რეალიზდება ადამიანი რეალურ ცხოვრებაში ისე, როგორც ამას ვირტუალურ სამყაროში აკეთებს.?! ალბათ იმიტომ, რომ ინტერნეტის დახმარებით ის საკუთარ მეორე „მე“-ს ქმნის, რომელიც შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული იყოს რეალურისგან. არ აქვს მნიშვნელობა უკეთესია თუ უარესი, ვირტუალურ სივრცეში რეალიზებული ადამიანი ნაკლებადაა ისეთი, როგორიც სინამდვილეში. თავისთავად ცხადია, რომ ინტერნეტი უამრავ შესაძლებლობას გვთავაზობს. მაგრამ იგი ნამდვილად არ არის სოციალიზაციის მთავარი იარაღი. მეტიც, როდესაც ადამიანი ზედმეტად ბევრ დროს ატარებს ეკრანთან, მას უფრო და უფრო უჭირს კომუნიკაციისა და ურთიერთობების დამყარება რეალურ სამყაროში. რადგან სწორედ იმ მეორე „მე“-ს გავლენის ქვეშ ექცევა, რომელიც სინამდვილეში არც არსებობს და მისი ვირტუალური ცხოვრების იმიჯს წარმოადგენს.

ეკრანდამოკიდებულება, ეს პრობლემაა თუ დაავადება.ჯერ კიდევ 30 წლის წინ ამერიკის პედიატრთა აკადემია აფრთხილებდა მშობლებს და პედიატრებს, რომ ბავშვები, განსაკუთრებით კი სამწლამდე ასაკის, არ დაკავებულიყვნენ ელექტრონული გამღიზიანებლებით. მაშინ ძირითადად ეს იყო ტელევიზორი. იმ დროს ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს დროში ამდენი ელექტრონული მოწყობილობა იქნებოდა, და ჩვენი ცხოვრება ნაწილობრივ თუ მთლიანად მათზე იქნებოდა დამოკიდებული. ეკრანდამოკიდებულება იგივე ინტერნეტადიქცია, ეს არის შედარებით ახალგაზრდა მდგომარეობა და პროფესიონალურ დონეზე ბევრი საკითხი არის განხილვის და გადახედვის ფაზაში. მაგრამ დადასტურებულია, რომ ეკრანდამოკიდებულება ადიქციაა, ანუ მიჩვევის, დამოკიდებულების ერთ-ერთი სახე. ბევრი თვალსაზრისით ის იზიარებს სხვა ტიპის დამოკიდებულებების თვისებებს, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ლუდომანია...

ფსიქოლოგთა თქმით თუ ეკრანთან გატარებული დროის ლიმიტი აჭარბებს 2 საათს უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ეკრანდამოკიდებულებაზე. არსებობს ორი ტიპის ეკრანდამოკიდებულება, ერთი, ეს არის გენერალიზებული, რომლის დროსაც ინტერნეტს ინფორმაციის გასაგებად ვიყენებთ და მეორე სპეციფიკური. შესაძლოა ის

აკმაყოფილებდეს დროის ლიმიტს, მაგრამ ამ დროს ადამიანი ინტერნეტს იყენებს სოციალური ქსელებისთვის, თამაშებისთვის, ონლაინ შოპინგისთვის... ინტერნეტ დამოკიდებულება არ არის შეტანილი დაავადებათა ნუსხაში. მას უწოდებენ განხილვის ფაზაში მყოფ დაავადებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერნეტის არსებობამ დედამიწა საოცრად ააჩქარა. ინფორმაციის თვალსაზრისით ადამიანი თითქოს გამდიდრდა,მაგრამ ამავე დროს ინფორმაციული ნაკადის კონტროლის პრობლემა გაჩნდა. ეკრანდამოკიდებულება განსაკუთრებით გამოხატულია, მობილური ტელეფონის ხშირ გამოყენებაში.მობილური ტელეფონის გამოგონებას შეიძლება, თანამედროვე ტექნიკური პროგრესის რევოლუცია ვუწოდოთ. მობილურ კავშირგაბულობას უდიდესი მოგება მოაქვს კორპორაციებისთვის. საკმაოდ ხელსაყრელია ასეთი ტექნოლოგია ჩვეულებრივი მომხმარებლისთვისაც, მაგრამ ნებისმიერ ტექნიკურ პროგრესს, სიკეთესთან ერთად, ახლავს უარყოფითი შედეგები. დღესდღეობით ადამიანების დიდი უმრავლესობა დროის უმეტეს ნაწილს მობილურ ტელეფონთან ატარებს. დღის განმავლობაში ეს დრო 4 საათიდან 14 საათამდეც კი მერყეობს. მობილური უკვე დიდი ხანია, აღარ არის მხოლოდ სასაუბრო და ადამიანების კომუნიკაციის საშუალება. მას შედეგ, რაც ტელეფონს ინტერნეტთან წვდომაც აქვს, მომხმარებლების უდიდესი ნაწილი ამ აპარატზე გახდა მიჯაჭვული და დროის უმეტეს ნაწილს მასში ცქერას უთმობს. ბინგემტონის უნივერსიტეტის მკვლევარები თვლიან, რომ მსგავსი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში უარესდება. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 182 კოლეჯის სტუდენტი. მას, ვინც საჭიროზე დიდი დოზით იყო სმარტფონზე დამოკიდებული, აღენიშნებოდა პიროვნული და სოციალური პრობლემები. ამასთან, გამოვლინდა დეპრესიისა და შფოთვის ნიშნებიც. ასევე ერთერთ სამეცნიერო ნაშრომში ვკითხულობთ, რომ მობილურის გავლენის ქვეშ ყველაზე ხშირად 18-დან 24 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. მათგან 77% რამდენიმე წუთითაც ვერ შორდება მობილურს.

რა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას მობილური ტელეფონი? საფრთხე, პირველ რიგში, დაკავშირებულია ტელეფონის ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებასთან ტვინში მიმდინარე ელექტრულ პროცესებზე. ტვინის ნერვული უჯრედები წარმოქმნის რთულ ელექტრულ ქსელს. ტელეფონის ველის ზემოქმედებით ამ ქსელზე ხდება ტვინის უჯრედების აქტიურობის დარღვევა, რაც იწვევს: ჰიპერტონიას, არითმიას, წყლულოვან დაავადებებს, მეხსიერების დაქვეითებას, ხშირ თავის ტკივილს,

ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, ყურადღების დაქვეითებას, გულფიცხობას, სტრესის მიმართ დაბალ გამძლეობას, ეპილეფსიურ რეაქციებს, გონებრივი და შემეცნებითი უნარის დაქვეითებას და კიდევ უამრავ დარღვევას. მომხმარებეთა უმრავლესობამ იცის, თუ რა საფრთხეებთანაა დაკავშირობული ტექნიკის გამოყენება, მაგრამ მაინც მათზე მიჯაჭვულნი რჩებიან.

ტერმინი მიჯაჭვულობა მოდის ე.წ.მიჯაჭვულობის ფსიქოლოგიიდან. მთავარი მიზეზი რაც იწვევს მიჯაჭვულობას არის მოთხოვნილება რომელსაც სჭირდება დაკმაყოფილება. პრობლემა ისაა რომ სურვილი და მოთხოვნილება შესაძლოა საერთოდაც არ იყოს ადეკვატურად გააზრებული. ჩვენ ვეჯაჭვებით ეკრანს, რომელშიც ისეთი შინაარსები და ისეთი საკითხები შეიძლება იყოს მოძიებული, რომლებიც ადამიანისთვის სიამოვნების მომგვრელია. ეს შეიძლება იყოს ონლაინ თამაშები, ონლაინ კომუნიკაციები, სხვადასხვა სახის ვირტუალური აქტივობები. ხშირად ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიც კი ნაცვლდება ამ მარტივი ფორმით . ეს გზები სინამდვილეში მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე კი არა , მის გადაფარვაზეა ორიენტირებული, თავის მოტყუების საშუალებაა. ისე ვერ იქნებით კმაყოფილი და ბედნიერი ვირტუალური საუბრით მეგობართან, როგორც შეხვედრისას. რადგან, ფიზიკურად რომც არ შეეხოთ ადამიანს, სწორედ ადამიანური და სულიერი სიახლოვეა საჭირო, რომელიც ვირტუალურ სივრცეში ბუნებრივია გამორიცხულია და საკუთარი არსით რესურსის არმქონეა. ამიტომაც ეს მიჯაჭვულობა თავისთავად არის თავის მოტყუების საშუალება და სუროგატული გზა იმ ბედნიერების განცდისა, რომელიც შინაგანადაა მოთხოვნილი. ჩვენ გვჭირდება, რომ ბედნიერების განცდის ნამდვილი და ბუნებრივი გზები მოვძებნოთ. მაგრამ ამის გაკეთება რთულია და მივმართავთ მარტივ, შემცვლელ საშუალებებს, რაც ეკრანმიჯაჭვულად გვაქცევს.

ეკრანი, თავისი ლამაზი ფერებით, საინტერესო ინფორმაციებითა და ახალი თავგადასავლებით გვიზიდავს და გვიცვლის მსოფლმხედველობას, მაგრამ მას თან ახლავს საფრთხეები, რომელთა შესახებ შეიძლება ვიცოდეთ, თუმცა სერიოზულად არ აღვიქვამთ, რადგან ვირტუალურ, ილუზიურ სამყაროში ცხოვრება მოგვწონს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **სოფიო დუმბაძე**

აქტუალურია ეთიკურ ღირებულებებზე ფიქრი დღეს?!

pro et contra

ადამიანი დაბადების დღიდან მოყოლებული, ხანგრძლივ გზას გადის განვითარების,სამყაროს უკეთ შეცნობისა თუ მის წიაღში წვდომის სურვილისაკენ. ამ გზაზე,მას უწევს ფასეულობების გადახარისხება და ,,ერთ დროს ნამდვილ'' ღირებულებებთან გამომშვიდობება. რეალობაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არ ჰგავს არც ერთ წინამორბედ ეპოქას,ის არის სრულიად ახალი, ცვალებადი, არაპროგნოზირებადი. უმნიშვნელოვანესია ფაქტი, თუ რამდენად სწრაფად ვითარდებიან ინდივიდები და გარემო,რომელსაც თავად ადამიანი ითვისებს და ავითარებს, მაგრამ ყველაფერი ,,საზღაურს'' ითხოვს და არც ჩვენი ყოფაა ამ მხრივ გამონაკლისი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების ზენიტში მყოფი ადამიანისთვისაც კი უდიდეს პრობლემად იქცა ადამიანური ღირებულებების უგულებელყოფა და მეტიც,შეგვიძლია,ვივარაუდოთ,რომ სწორედ ამგვარმა განვითარებამ გამოიწვია ფასეულობებისა და ღირებულებების უკანა ფლანგზე გადატანა.ლაკონიურად რომ ვთქვათ,ტექნოლოგიურმა თუ ზოგადმა პროგრესმა ინდივიდის,როგორც ეთიკური ღირებულებების მიმღებისა და გამტარებლის რეგრესი გამოიწვია.

არსებულ თემაზე ადამიანთა მოსაზრებები განსხვავებულია,მუდმივად დაობენ იმაზე,არის თუ არა საზოგადოებაში ეთიკური ღირებულებების არსებობა აუცილებელი ან რას მოგვცემს ალტერნატიული სურათი. აი მაგალითად, მეცნიერული თვალსაზრისით,უხეშად რომ ვთქვათ,ეს ღირებულებები არც არასდროს მდგარა წინა ფლანგზე,განსხვავებით რელიგიისა,მორალისა და ეთიკურობისგან.სხვა რომ არაფერი,რა ჰქმნის ადამიანს? ადამიანი მაშინ იწყებს ,,ადამიანობას'',როცა ის გააზრებული ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას,პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე,აქვს განსჯისა და დასკვნების გამოტანის უნარი,შეუძლია გაასხვავოს ,,ცუდი'' და კარგი'' და იყოს სრულფასოვანი სოციუმის წევრი.

ადამიანის ადამიანობას თავად სოციალურობა განაპირობებს.ჯერ კიდევ არისტოტელედან მოყოლებული,ადამიანი ,,ZOON POLITIKON'' არის,რაც ნათლად მიუთითებს ინდივიდის,როგორც ცალკე პიროვნებისა და მისი სოციალური ცხოვრების მნშვნელობაზე.სწორედ ეთიკური ღირებულებების მეშვეობით ყალიბდება ადამიანი,თრგუნავს ,,პირველყოფილ ინსტიქტებს'' და უფრო მაღალ, ,,ზეადამიანურ'' ღირებულებებთან მიახლოვებას იწყებს.თუ დავაკვირდებით,მარტივ ჭეშმარიტებას დავინახავთ იმ აზრში,რომ ერს ადათ-წესებთან,ენასთან, ზოგადად კულტურასთან ერთად ეთიკური ღირებულებები აყალიბებს,აერთიანებს და საერთოდაც,ქმნის. სწორედ ამ მიზეზით შეგვიძლია ავხსნათ ამ ღირებულებების უარმყოფთა მიმართ არაკეთილგანწყობა და მათი ათვალწუნება.

ამ თემასა და მის საჭიროება/არ საჭიროებაზე დავა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად ითვლება.ჩვენ ვიცნობთ ისეთ მოაზროვნეებს,როგორებიც არიან:კანტი,ფროიდი...და სხვა.ამ ორი უდიდესი მოაზროვნის მაგალითზე თვალსაჩინოდ შეგვიძლია გავეცნოთ ორ სხვადასხვა მხარეს მყოფი ინდივიდის აზრს.ერთისთვის მორალი ადამიანზე მაღლაც კი იდგა,მეორესთვის კი ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ადამიანის თავისუფლებისთვის.(ტოტემი და ტაბუ ვახსენო) .ჩვენც გააზრებულად თუ გაუაზრებლად,მთელი ცხოვრების მანძილზე განგვიმარტავენ ეთიკური ქმედებების მნიშვნელობასა და მათ როლს სამყაროში.ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობიდან,როცა ინდივიდი სამყაროს შეცნობის ეტაპზეა,ყველა ცდილობს,მაღალი ეთიკური ღირებულებებისა თუ სწორი მორალური ქმედებების მიხედვით აღზარდონ ისინი.ამას ჯერ თაობს ოჯახი,საახლობლო შემდეგ უკვე ბაღი, სკოლა... მივადექით სკოლას, რომელიც ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია და უდიდესი როლის მქონეც ინდივიდის ჩამოყალიბებაში.სწორედ ამიტომ,სკოლაში ,ვსწავლობთ ისტორიას,ვეცნობით ლიტერატურას,სადაც ყველაფერი მორალურ ღირებულებებზეა დაფუძვნებული--დაწყებული ალუდა ქეთელაურიდან,დამთავრებული 300 არაგველითა თუ სხვა წამებულებით. ამგვარი მაგალითებით მუდმივად ხდება სწორი მორალურ/ეთიკური ღირებულებების გააზრება,შეხსენება და იმ სულისკვეთების დანერგვა,რაც შემდგომ უდიდეს მნიშვნელობას სძენს ინდივიდს.

ეთიკური ღირებულებები იმდენადაა დაკავშირებული ადამიანურობასთან,რომ შეუძლებელია,მას გაექცე,უარყო ისე,რომ აღარასდროს შეგახსენოს თავი.

ყოველდღიურობიდან დაწყებული, ლიტერატურით, ფილმებით, ხელოვნების ნიმუშებითა თუ ნებისმიერი სხვა ,,ადამიანური'' საქმიანობით დამთავრებული,ყველაფერი ღირებულებებსა და თავად მის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ენტონი ბერჯენსის ,,მექანიკური ფორთოხალი'' ერთ-ერთია იმ გამორჩეულ ნაწარმოებთა (შემდეგ უკვე ფილმად ქცეულ გენიალურობათა) შორის,რომელიც ზედმიწევნით ასახავს ეთიკური ღირებულებების მნიშვნელობას,ამორალური ადამიანის გაცხოველებულ სახესა და საბოლოო დასკვნის სახით მოცემულ რეალობას-ეთიკური ღირებულებების უარმყოფი,თავად ,,ემონება'' ამგვარ ცხოვრებას.

ახლა კი მოკლედ შევეხები სერიალს, რომლის მეშვეობითაც ეს კოლაჟი მაქვს და ვეცდები,ძალიან მოკლედ დავაკავშირო დღევანდელი მოხსენება ,,მიტოვებულებთან'' „მიტოვებულები“ პრინციპში თეორიული სოციოლოგიური კვლევაა, რომელიც აკვირდება საზოგადოებისა და ინდივიდების ქცევებს მას შემ დეგ, რაც მათ ცხოვრებაში ფიქსირდება მოვლენა, რომელზეც გადაჭრითი პასუხი არავის გააჩნია, არც რელიგიას, არც მეცნიერებას.წარმოიდგინეთ,ერთ ტრივიალურ,უღიმღამო დღეს ქრება მოსახლეობის ოთხი პროცენტი.არანაირი შერჩევითობის პრინციპი,არანაირი კვალი, აი ასე, მარტივად... .სწორედ ამ მოვლენის შემდგომ არსებულ ქაოსზე მოგვითხრობს ეს სერიალი,თუ როგორ იცვლება ,,დარჩენილების'' წეს-ჩვეულებები,ღირებულებები, წარმოიქმნება ახალი ტიპის ურთიერთობები, დამოკიდებულებები და ა.შ. ამ სერიალში არაფერია ,,განსაკუთრებული'' გარდა იმისა,რომ გვახსენებს-რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ ურთიერთობებს,სუფთა სინდისით ცხოვრებასა და იმ ყველაფერს, რაც ერთი შეხედვით ჩვეულებრივია,მაგრამ მივიწყებულიც. დღესდღეობით ხელოვნებაში ძლიერი კატაკლიზმებისა თუ უცხოპლანეტელთა შემოჭრის სცენები გამოიყენება იმისთვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ, ჩამოშლილი ურთიერთობები აღადგინონ, ცხოვრება გადაიაზრონ და ა.შ აქ კი არც უცხო პლანეტელები არიან,არც არმაგედონია,უბრალოდ ქრება მოსახლეობის რაღაც ნაწილი.... არადა არმაგედონზე უკეთ ასახავს ადამიანების ტრაგედიას ერთად და ცალ-ცალკე აღებულს .„გაუჩინარების“ შემდეგ კაცობრიობას ვერავინ შესთავაზა ახსნა და ვერ მისცა ნუგეში, თანამედროვეობა დარჩა ისევ სამომხმარებლო სივრცედ, რომელმაც შექმნილ რეალობაზე საბაზრო მოთხოვნები დააწესა და მხოლოდ სავაჭრო პროდუქტი შესთავავაზა ხალხს. ამიტომ სასოწარკვეთა ვერაფერმა გადაფარა, სიცოცხლის ხალისი ვერაფერმა დააბრუნა და შეიქმნა მონოტონური სევდის კოლექტიური ცნობიერი. ადამიანების ცხოვრება დაიცალა

კავშირებისგან, ადამიანური კონტაქტისგან და ეს კავშირები წარმოსახვითმა და უსიცოცხლო უერთიერთობებმა ჩაანაცვლა გაჩნდა გიგანტური კულტურული ნაპრალი, რომელსაც მხოლოდ წმინდა უეინის პრაქტიკები ავსებს ინდივიდუალურ დონეზე, რადგან ის სთავაზობს ხალხს,რისი მთავარი დეფიციტიც არსებობს – ემპათია. აქვე გვყავს დაჯგუფება,სექტა თუ რაც მოგვესურვება,ვუწოდოთ "გილთი რემნანთი"რომელის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას არ მისცეს საშუალება დაივიწყონ მომხდარი. გაუჩინარება იმ მასშტაბის მოვლენა იყო, რომელმაც მთელ კაცობრიობას შეახსენა სიცოცხლის წარმავალი ბუნება, სიკვდილი (არარა) დააბრუნა ყოველდღიურობაში... ის, რასაც მუდამ გაურბის ადამიანი, გახადა ხილულად შეუქცევადი, თუმცა ხალხი მაინც ცდილობს მის დავიწყებას. მეტი სპოლერი რომ არ გამომივიდეს,სერიალი უაღრესად კარგად ასახავს ეთიკური ღირებულებების აუცილებლობას,ადამიანურ ურთიერთობებსა და ცდილობს,ყველასთვის ნაცნობი მოვლენები რადიკალურად სხვა რაკურსით გვაჩვენოს,მაგალითად ის,რომ ცენტრალური კატაკლიზმა მაინც არ ყოფილა ფიზიკური, მთავარი არმაგედონი ადამიანების ფსიქიკაში ხორციელდება.

შოუ არის რეფლექსია მასში მცხოვრები ადამიანების შინაგან კონდიციებზე, და არა მომხდარზე, როგორც მეტაფიზიკურ მოვლენაზე.ამიტომაც ერთადერთი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ნამუშევარია,რომრლმაც მთლიანად მომიცვა. დასასრულს ვაჯამებ იმით,რომ ეთიკური ღირებულებები მასაზრდოებელია ინდივიდთა არსებობა/განვითარების გზაზე.ადამიანი გადატვირთული ცხოვრების სტილის,ნაკლები ფიქრისა თუ სხვა მრავალი ფაქტორის გამო,ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ივიწყებს ამ ღირებულებების მნიშვნელობას,მათ გავლენასა და არსებობის აუცილებლობას,მაგრამ ყოველთვის იარსებებენ ისეთები,ვინც აუცილებლად შეახსენებენ მათ ღირებულებების არსსა და მნიშვნელობას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **ალექსი ტკაჩოვი**

თვითუარყოფა, როგორც მორალური კატეგორია „დაო დე-ძინის“ მიხედვით

დასაწყისისთვის, გაგაცნობთ თუ რაზე ვაპირებ საუბარს. მოხსენების პირველ ნაწილში ზოგადად მიმოვიხილავ „დაო დე-ძინს“, განსაკუთრებით კი მის ეთიკურ მხარეს. თუ რა ძირითადი მახასიათებლები, ხოლო მეორე ნაწილში კომენტირების თანხლებით განვიხილავ კონკრეტულ პასაჟებსა და ნაწყვეტებს თავად პოემა „დაო დე-ძინიდან“.

„წიგნი გზისა და სათნოებისა“, როგორც მას ლევ ტოლსტოი უწოდებს, დასაბამი გახდა რელიგია დაოიზმისა, რომელიც შამანური და მისტიკური ელემენტებით იყო გაჟღენთილი, თუმცა ეს ჩვენს შემთხვევაში ნაკლებ საინტერესოა. რაც შეეხება დაოიზმის ფილოსოფიურ ნაწილს, ის რელიგიისგან განუყოფელია, ანუ დაოიზმი არის ფილოსოფიური რელიგია. ამ მოძღვრებაში რელიგიური ჭეშმარიტება დაოს, ანუ „გზის“ მისტიკურ აღიარებაში დევს, ხოლო ფილოსოფიური ჭეშმარიტება - მის ეთიკურ აღიარებაში.

მრავალი მკვლევარი, რომელსაც საფუძვლიანი შეხება ჰქონია ამ ტექსტთან აღნიშნავდა, რომ მსგავსი ეთიკური სისტემა ქრისტიანობის გამოჩენამდე არ არსებობდა. იდეა, რომ მტერსაც კი სიკეთე უნდა მიაგო „დაო დე-ძინში“ ქრისტიანობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე გვხვდება. „უფრო დიდი უბედურება არაფერია: გძულდეს მტერი შენი. მტრის სიძულვილი - ვნებს დაოს“

იმისათვის, რომ დაო დე ძინის მიერ განხილული ეთიკური მოდელი გავიგოთ, აუცილებელია ორი სიტყვით ვთქვათ ის თუ რა მიაჩნია ლაო-ძის მცდარ მორალურ გზად. მისი მიხედვით, ქვეყნად არსებობს ორი კატეგორიის ბრძენკაცი. ერთმა უწყის უღრმესი და დაფარული საიდუმლო ბუნებითი დაოსი და უმოქმედობის კანონებით მოქმედებს და იღწვის: ის ფლობს დაოს ყველა უმთავრეს თვისებას. ლაო-ძი ასეთ ბრძენს „უმაღლესი დეს“ მფლობელს ანუ უმაღლეს სათნოებათა მფლობელს უწოდებს, რომელიც დაოს, უმოქმედობის კანონებით მოქმედებს.

მეორეა მოჩვენებითი ბრძენკაცი, ანუ ცრუბრძენი, რომელიც მოქმედებს მძლავრობით, დაოს კანონების საპირისპიროდ. ლაო-ძი მათ ახასიათებს როგორც „უმდაბლესი დე“-ს მქონეთ. ისინი აიძულებენ ყოველს სათაყვანოდ და ამ მიზნით სხვადასხვა ზნეობრივ ცნებებს იგონებენ. ასეთებია: კაცთმოყვარება, თაყვანისცემა, რიტუალი. ყოველივე ეს დაო დე ძინის მიხედვით ცრუ შინაარსის შემცველი ცნებებია და დასაბამია უმეცრებისა.

ყოვლადბრძენი: არ ფლობს კაცთმოყვარეობას. ერთია მისთვის კაცი, ქალი თუ ჩალის ძაღლი.

ოდეს უარყვეს დიადი დაო;
„კაცთმოყვარეობა“ და „სამართლიანობა“ იშვა.
ოდეს ცრუბრძნობა გამეფდა;
პირმოთნეობა იშვა.

ლაო-ძი ფაქტობრივად უპირისპირდება კონფუციურ თვალსაზრისს. ლეგენდის მსგავსი ამბავია შემონახული სინოლოგიაში, რომ ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლაო-ძის ასე უთქვამს კონფუცისათვის: „უარყავი შენ შენი სიბრძნე და კეთილგონიერება, მაშინ ხალხი ასგზის ბედნიერი იქნება. უარი თქვი შენს კაცთმოყვარეობაზე და განუდექი შენს სამართლიანობას, მაშინ ხალხი დაუბრუნდება ძეთა მოწიწებას მამათა სიყვარულს. დაივიწყე შენი ხელოვნება და დათმე შენი შემოსავალი, მაშინ ქურდობაც მოისპობა. წარმოაჩინე შენი სახე შეულამაზებლად, დაიცავი სიწმინდე, დათრგუნე საკუთარი თავის სიყვარული და ალაგმე შენი პატივმოყვარული სურვილები“; ეს სიტყვები ძალიან ჰგავს „დაო დე ძინის“ ერთ-ერთ დამოძღვრას: „მე არას ვიქმნ და: ხალხს თავად ეუფლება სრულქმნილება. მე მშვიდად ვარ და: ხალხს თავად ეუფლება კეთილშობილება. მე ვნებადამცხრალი ვარ და: ხალხს თავად ეუფლება უბრალოება“.

ასევე საინტერესო და აღნიშვნის ღირსია შემეცნების შესახებ ლაო-ძის აზრი

ჭეშმარიტად.
შეიცან თავი შენი და შეიცნობ ყოველს.
შეიცან სახლეული შენი და შეიცნობ სხვისას.
შეიცან სოფელი შენი და შეიცნობ სოფლებს
შეიცან ქვეყანა შენი და შეიცნობ ქვეყნებს
შეიცან სამყარო და შეიცნობ სამყაროს.

ერთის წვდომით ზოგადის წვდომა დაოს, ანუ სამყაროსეული კანონზომიერების გათავისებით ხდება. ლაო-ძისთვის მთავარი სწორედ დაფარული კანონზომიერების შეცნობაა, რომელიც ხილულ სამყაროს თავად გაგიმჟღავნებს.

ჭეშმარიტად;
მხოლოდ ის ეზიარა მარადიულს:
ვინცა გაიბუნება სიწმიდე და უბრალოება.
ვინცა შეიზღუდა სურვილები და დაიცხრო ვნებები.
ვინცა უარყო ცრუბრძნობა და ცრუმეტყველება.

ამ ციტატიდან ვიგებთ, რომ დაოს ეთიკური გააზრება, ანუ ამპარტავნების, სურვილებისა ვნებების დაძლევა, არა მხოლოდ გზაა ცხოვრების მორალურად წარმართვისთვის, არამედ აუცილებელი ნაბიჯია მარადიული, ერთიანი სამყაროს შესაცნობად და დაფარული საიდუმლოების წვდომისათვის.

ლაო-ძი თვითუარყოფას ერთ-ერთ უმთავრეს ეთიკურ კანონად განიხილავდა. თვითუარყოფა დაოს სრული მორჩილება და ბუნებითობის მიხედვით მოქმედებაა. იგი ამბობს: „ყოვლადბრძენი ყოველივეს მორჩილია. მორჩილია და გაწინამძღვრებულია. უარყოფს ხორციელ ტანს და სოფლიურ მარადისობას ერთვის. ლაოძი თვითუარყოფის იდეალურ არსებად წყალს ასახელებს, რომელიც სიდაბლეს მიელტვის და იქ არსებობს, სადაც ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ვისაც სურს იხელმწიფოს და უწინამძღვროს ხალხს, იგი მასზე დაბლა უნდა დგებოდეს. ასეთ დროს, თუმც ხელმწიფე წინამძღვრობს ხალხს, მაგრამ ხალხი ვერ გრძნობს მის ხელმწიფებას.

ლაო-ძი ამბობს:

ყოვლადბრძენი უმოქმედოა და იქმს.
ყოვლადბრძენი მდუმარეა და გვმოძღვრავს.
ამიტომ იშვის ყოველი არსი.
იშვის და ყოველგან მიმოიძვრის.

უმოქმედობის პრინციპს დიდი ადგილი უკავია დაოიზმში. ეს სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი უზენაეს კანონზომიერებას დაუმორჩილა თავისთავად მიყვება ჭეშმარიტ ცხოვრების გზას, ლაო-ძი ამბობს:

ყოვლადბრძენი არ მოქმედებს.

იქმს და უმოქმედოა.

უმოქმედოა და:

ყოველი არსი მას მორჩილებს

ასევე მნიშვნელოვანია მორჩილების პრინციპი, რომელიც საკმაოდ ახლოსაა უმოქმედობისთან და შესაძლოა ორივე მათგანი თვითუარყოფის ქვემდგომ მორალურ შეგონებებად ჩავთვალოთ. ისევ ციტატა:

სჯობს სულაც არაფერი ქმნა
და არც სისავსეს მიელტვოდე
თუ რაიმე მბრწყინავს დღენიადაგ აბრწყინებ:
მერმკრთალდება.
თუ დარბაზონი განძეულით გაქვს ავსილი:
არავის ძალუძს მისი დაცვა.
თუ მდიდარნი და დიდებულნი მედიდურობენ: თავად იუბედურებენ თავს.

დაოიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ზომიერება, თუ ადამიანი ნივთებს იმაზე მეტ ღირებულებას ანიჭებს ვიდრე მას ეკუთვნის დაოს პრინციპებს ღალატობს. ბოლოს კი განვიხილოთ მოკლე მაგრამ დაოიზმის ეთიკური გააზრებისათვის მნიშვნელოვანი ციტატა, რომელიც პრინციპში მთლიანად აქცევს საკუთარ თავში ისეთ ცნებებს როგორიცაა უმოქმედობა, თვითუარყოფა, მორჩილება, ციტატა:

ვინცა აღივსო სიცარიელით:
აღივსო უდიადესი სიმშვიდით.

სიცარიელეს ხშირად ლაო-ძი დაოს მთავარ ატრიბუტადაც ხმარობს. სწორედ სიცარიელეა, ის რაც ადამიანისგან გამოდევნის ვნებებს სურვილებს და სხვა მავნებლობებს. სიცარიელის მდგომარეობაში შეუძლია ადამიანს დაფარული საიდუმლოებანი გაიაზროს ისე რომ ფიზიკურმა სამყარომ არ შეუშალოს ხელი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი **ტატო ჯიჯიეშვილი**

მტკიცება, როგორც უმეცრება

ხშირია შემთხვევა როცა ადამიანმა რაღაც არ იცის,თუმცა დაჟინებით ამტკიცებს,ფიქრობს,რომ მას ამ საკითხზე ცოდნა გააჩნია.ეს არის თუ არა უმეცრება? დიახ არის და მე მეტიც შემიძლია ვთქვა,ეს უმეცრების გარდა ბოროტების საწინდარიც შეიძლება იყოს. სიღრმეებში შესვლაა საჭირო იმის ბოლომდე წარმოსაჩენად თუ რატომ ვფიქრობ ასე. ადამიანის ცხოვრება მუდმივი ქმნადობის,განვითარების, ცოდნის დაგროვებისა და ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთობლიობა უნდა იყოს (ცხადია სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად) ამ პროცესებში გასათვალისწინებელია ის შესაძლო დაბრკოლებები, რასაც ადამიანი წააწყდება. ცხადია ბევრ სხვა სირთულესთან ერთად, ადამიანისათვის დამატებით სირთულეს მისთვის დაწესებული შემეცნების საზღვრები წარმოადგენს.ის შუამავალი რგოლია ყოვლისმცოდნე ღმერთსა და არაფრისმცოდნე ცხოველს შორის.მხოლოდ მას ახასიათებს ცოდნის წყურვილი,ცოდნისაკენ სწრაფვა და სწორედ მასვე ახასიათებს უმეცრება.მაგრამ უნდა ითქვას,რომ ეს ადამიანური უმეცრება ცხოველური უმეცრებისაგან განსხვავდება.სოკრატე ამბობდა „მე ვიცი,რომ არაფერი ვიცი“ რატომ? ალბათ უცნაურია ის ფაქტი (ერთი შეხედვით),რომ ადამიანი რომლის ნააზრევთა უმრავლესობა დღესაც გენიალურადა აღიარებული, მსგავსი სიტყვების ავტორია. მაგრამ თუ სიღრმისეულად შევხედავთ საკითხს, დავინახავთ,რომ ზუსტადაც სოკრატესნაირ ჭკვიან ადამიანს უნდა გაეზრაბინა საკითხი მსგავსად და მისი ცოდნის მიუხედავად ზუსტად ის ეთქვა,რაც თქვა.სიკრატეს ეს სიტყვები შეფარდებითი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული.მისთვის მსგავსი აზრის ინსპირაცია ზუსტადაც იმ მეტაფიზიკური და ადამიანისათვის შეუმეცნებადი საკითხების გადააზრება იყო, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს.ზუსტადაც,რომ უმეცრების დასამარცხებლად წარმოთქვა სიკრატემ მსგავსი სიტყვები. მან დაინახა, რომ ბევრ მთავარ საკითხზე დასმულ, ადამიანისათვის მიუწვდომელ კითხვებს პასუხს ვერ სცემდა და თქვა,რომ მან არაფერი იცის.საინტერესოა მთავარი რამ,სოკრატემ საკუთარ თავში ამ უმეცრების დანახვითა და გააზრებით,დიდი

ცოდნაც დაინახა და გაიზრა.ამავდროულად ჩვენც მოგვცა საშუალება (კიდევ ერთხელ), რომ მისი გენიალურობა დაგვედგინა. თუ მე ვეთანხმები მსჯელობას,რომ უმეცრებაა როცა იმაზე ამტკიცებ,რომ იცი რაც არ იცი, მაშინ ჩემს თავს კიდევ ერთხელ დავარწმუნებ სოკრატეს სიდიადეში და ვიტყვი,რომ სოკრატემაც კი დაინახა საკუთარ თავში რაღაცის არ ცოდნა და ამ დანახვით უმეცარი პერსონის საწინააღმდეგო გამოვლინებად წარმოჩინდა.

რა არის საერთოდ ცოდნა. ის მართლაც რთული ფენომენია. ჩვე ვიცით,რომ არსებობს ცოდნის რამდენიმე სახე :დოქსა,ეპისტემე და ა.შ. არისტოტელეს აინტერესებდა,თუ ცოდნის რომელი სახე უფრო სრულად წარმოაჩენდა ადამიანის ბუნებას.რომელი იყო მისი სრულად გამომვლენი.ეს მართლაც საინტერესო შეკითხვაა ,მაგრამ ამავე დროს რთულიც.ალბათ ყოველგვარ ცოდნა საკუთარი მნიშვნელოვანი შტრიხები შეაქვს ადამინის გაადამიანურებაში. მე ზემოთ ვახსენე,რომ რაღაცაზე ცოდნის მტკიცება (რაზეც არ იცი) ბოროტების წყაროც შეიძლება იყოს და ამ საკითხის სიღმისეულად განხილვა დავაანონსე. ახლა შევეცდები ამ სიღრმეებში შესვლას:ადამიანი რომელიც ეთიკური გააზრებებისგან,მორალული, მყარი და საჭირო პრინციპეპის შეთვისებისგან,შესწავლისგან შორსაა და ამავდროულად ამ პრინციპების მცოდნედ თვლის თავს, პოტენციური ბოროტების შემოქმედია.რატომ? იმიტომ ,რომ მას არ აქვს ნაბიჯის წინ გადადგმის და ამ საკითხებში უკეთ გათვიცნობიერების სურვილი.ის უკვე უდიდესი ცოდნის მატარებლად თვლის საკუთარ თავს ამ მიმართულებით და მორალური პრინციპების თითქოსდა ცოდნით, ბოროტებას სჩადის.ის ეთიკურად განიხილავს არაეთიკურს და ა.შ. მიუხედავად ჰედონისტური შეხედულების მიმართ, ოდნავი საინტერესო დამოკიდებულებისა,ვფიქრობ,რომ ის ჩემი სიტყვების დასტურია.ამ შეხედულების წარმომადგენლებს მორალური სფერო ხომ დამახინჯებულად აქვთ გააზრებული? ისინი ხომ პოტენციური ბოროტების ჩამდენნი არიან საკუთარი სიამოვნების შეფერხების ყოველ შემთხვევაში? ცხადია კი.მათ სწამთ,რომ იციან ის რაც არ იციან და ამით უმეცრებასთან ერთდ ბოროტების შესაძლო შემოქმედნიც ხდებიან.სიმბოლურია,რომ ჰედონიზმის მამამთავარდ სოკრატეს თანამედროვე ფილოსოფოსი არისტიპე კირენელი ითვლება. ცხადია ეს მსჯელობა მხოლოდ ეთიკურ სფეროს არ მოიცავს ,ის სხვა მრავალ სფეროშიც აღმოჩენადია, ცხადია დაკვირვების შემდეგ.

ე.ი. ჩვენ არსებულ დებულებას მივუმატეთ ერთი ელემენტი(ბოროტება) და ვთქვით,რომ უმეცრებასთან ერთდ შენთვის შეუმეცნებელ რამეზე შემეცნებულობის

სტატუსი მიცემა შესაძლო ბოროტებაცაა.გავაგრძელოდ მსჯელობა და შევეხოთ ემანუელ კანტს. ის ცოდნის საზღვრის დადგენას მოითხოვდა და უნდოდა ,რომ გაეგო თუ რისი შემეცნება შეუძლია ადამიანს. ეს კანტისეული მოთხოვნაც უმეცრების დამარცხებისაკენ მიმართული ნაბიჯია.კანტი მოითხოვს,რომ ადამიანს ჰქონდეს სრული ინფორმაცია იმასთან დაკავშრებით, თუ რისი შემეცნება შეუძლია მას.მან საწყის ეტაპზე გამიჯნა მეცნიერებისაგან მეტაფიზიკა და ამით მისი, როგორც სულიერების,ღმერთთან დაახლოების მნიშვნელოვანი საწყისები დაინახა მასში.ის მეცნიერული ელემენტების შემცველი რამ არაა კანტისათვის, რადგან ის არ იძლევა სინთეზურ აპრიორულ მსჯელობას და მის შესახებ ცოდნის ჭრილში გააზრებული ყველა საკითხი, უმეცრების მნიშვნელობას იძენს კანტისათვის.ზუსტად აქ ჩანს ,რომ კანტის ფილოსოფიის ეს ნაწილი მნიშვნელოვანი არგუმენტია ჩვენი მოსაზრების სისწორის წარმოსაჩენად. ისიც ადასტურებს,რომ ადამიანმა უნდა იცოდეს ნამდვილად რა იცის ახლა,ან რისი ცოდნა შეუძლია მომავალში.შეგვიძლია მის მიერ სვედენბერგის მიმართ წამოყენებული კრიტიკაც ამ ჭრილში დავინახოთ.

რატომ ხდება, რომ ადამიანი ზოგჯერ ისეთ რამეზე აცხადებს მცოდნის სტატუსს, რაც მან არ იცის? სად უნდა ვეძიოთ ამ კითხვაზე პასუხი? ალბათ ისევ ადამიანის ბუნებაში.ცოდნა ხომ ხშირად მხოლოდ თავის წარმოჩენის ეფექტურ მექანიზმად აღიქმება(არასწორად) და ცხადია რაც უფრო მეტ საკითხზე შეეძლება ადამიანს ამ მექანიზმის გამოყენება, მით უფრო კარგია (მისი აზრით). მაგრამ ამ მექანიზმის შესაძლო არასწორი გამოყენება და ე.ი. რაღაც საკითხზე ცოდნის მკაფიო მტკიცება, მაშინ როცა შენ ცოდნას არ ფლობ, ცხადია უპირობო უმეცრებაა.ერთის მხრივ კონკრეტული საკითხის მიმართ გამოვლენილი,მეორეს მხრივ ზოგადად ცოდნის ფენომენისადმი.უნდა ითქვას ,რომ საკითხის ამგვარად დაყენებაც შეგვიძლია სად,ვის მიერ ან რა ვითარებაში ვლინდება არ ცოდნის მიუხედავად,ვითომ ცოდნის აფიშირება,ან რა ფაქტორები განაპირობებს მას.ჩემი პასუხი ამ საერთო კითხვებზე იქნება გაუნათლებლობა. გაუნათლებლობაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც ადამიანი იჩემებს ისეთ რამეზე ცოდნას,რაც მან არ იცის.გაუნათლებლობა კი უმეცრების მთავარი წინაპირობაა რომელი უმეცრებაც არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის არ ცოდნით ვლინდება, არამედ ამ კონკრეტული საკითხის არ ცოდნის მიუხედავად, მისი ვითომდა ცოდნის მტკიცებით.ამას ბევრი პრობლემა მოაქვს კაცობრიობისათვის ,მაშინ როცა ცოდნამ, თანამედროვე სამყაროში ,ინსტრუმენტალური ხასიათი მიიღო.ცოდნის ეს ხასიათი შესაძლოა ბოლომდე

მოსაწონი ადამიანთათვის არ იყოს,მაგრამ ფაქტია,რომ ის თანამედროვეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამ მახასიათებლის ნამდვილი ცოდნით შევსება,კაცობრიობის თანამედროვე ამოცანაა.უმეცრების გააზრებას მის დამარცხებამდე მივყავართ.პოპერი თვლიდა,რომ შემეცნების პროცესისათვის ჯერ კონკრეტული საკითხის არ ცოდნა იყო საჭირო.ასევე ის იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სრული,უტყუარი ცოდნის დამტკიცებას,რომ ყოველი ახალი მეცნიერული თეორიის დამხობას ემხრობოდა, ცოდნის ხარისხის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.ზუსტად მისი ფალსიფიკაციის თეორია არის მთავარი ნაბიჯი ცოდნის ხარისხის განვითარებისაკენ.ცხადია ის გარკვეული დოზით უმეცრებას ემხრობა, მაგრამ ზუსტად ამ უმეცრების საბოლოოდ დამარცხებისაკენაა პოპერის მიმღეობის უნარი ჩამოყალიბებული.ის პირდაპირ არ ამბობს ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარ დებულებას,მაგრამ მისი ნააზრევის სიღრმისეულად გააზრების შემთხვევაში ეს პათოსი აშკარად იკითხება.

რა შეგვიძლია ვთქვათ ბოლოს? ალბათ ის, რომ არ ცოდნის პირობებში ცოდნის მტკიცება გამანადგურებელი უმეცრებაა. თითოეულმა ადამიანმა უნდა ეცადოს ამ უმეცრებისაგან თავის დახსნა და ამ ნაბიჯით სხვა, მათ შორის მორალური შეცდომებისაგან, თავის დაზღვევა. ამ პრობლემის გააზრება ადამიანთათვის მნიშვნელოვანია როგორც გონებრივი, ისე სულიერი განვითარებისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი **გიორგი ვახტანგაშვილი**

„პატიმრის დილემა“, როგორც ინდივიდუალური მორალური ქცევის პრობლემა თანამედროვე სამყაროში (ნორბერტ ელიასის „თამაშის სამი მოდელის“ რეცეფცია)

თანამედროვე სამყაროში ადამიანის მორალურ გამოწვევებზე მსჯელობის ერთ მიმართულებად მორალის და მისი პრაქტიკული განხორციელების კვლევა შეგვიძლია მივიჩნიოთ, რისი ინტელექტუალური ტრადიციაც არისტოტელედან იღებს სათავეს. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ ინდივიდუალური მოქმედების სოციოლოგ ნორბერტ ელიასისეულ კონცეფციაზე, რომელიც ინდივიდთა შორის თანამშრომლობის აუცილებლობაზეა დაფუძნებული. აქ, თავის მხრივ, თანამშრომლობის ფენომენი გააზრებულ იქნა თამაშის თეორიის საფუძვლად არსებული „პატიმრის დილემის“ არსისა და მისი თეორიული გადაწყვეტის კონტექსტში, რომელიც ჩემ მიერ ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც მორალურ-პრაქტიკული ცოდნის მატერიალიზაციის ერთ-ერთი თანამედროვე მაგალითი, რომელიც მიმართულია თანამშრომლობისაგან ოპტიმალური სარგებლის მიღებისკენ.

წამოჭრილ პრობლემაზე საუბარი აუცილებლად უნდა დაიწყოს არისტოტელეს „ნიკომარქეს ეთიკიდან.“ ამ ნაშრომის მე-6 წიგნში ბერძენმა ფილოსფოსმა მორალური ცოდნის პრაქტიკულ ქმედებასთან ურთიერთკავშირზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა და ეპისტემეს (უნივერსალური მეცნიერული ცოდნა) ფრონესთან (მორალურ-პრაქტიკული ცოდნა) ურთიერთმიმართებასაც შეეხო.

მეცნიერული ცოდნა (იგივე ცოდნა და გონება) არისტოტელესათვის, მისივე ბუნებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ის გონიერებისაგან განსხვავდება. ანაქსაგორასა და თალესს ეწოდებათ ბრძენები და არა გონიერები იმის გამო, რომ ამჩნევდნენ, რომ არ იცოდნენ თუ რა იყო მათთვის სასარგებლო, ამის ნაცვლად ფლობდნენ იმას, რაც არის „სრულყოფილი და საკვირველი, ძნელი და დემონური, რაც სასარგებლო არაა, რადგან ისინი არ ეხებიან ადამიანურ სიკეთეთ.“ სიბრძნისაგან

განსხვავებით, გონიერება არა მხოლოდ ზოგადს, არამედ კონკრეტულსაც ეხება, ანუ პრაქტიკასთან აქვს საქმე. ის გონის დახმარებით მოქმედებს, თუმცა ადამიანისათვის მოქმედების საუკეთესო გზაზე მითითება შეუძლია. ეს მოვლენა მჭიდრო კავშირშია პოლიტიკის ხელოვნებასთანაც, რამდენადაც ადამიანის „პოლიტიკურ ცხოველად“ გააზრება უკავშირდება კანონების მიხედვით მოქმედებასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ არისტოტელესათვის გონიერება სიბრძნეზე დაბლა დგას, რადგანაც მისთვის ეს უკანასკნელი ის საწყისია, რომელიც კონკრეტულ მოვლენებს აწესრიგებს.

არისტოტელესთვის ფრონესის მორალურ-პრაქტიკული ასპექტი ერთგვარ „სულიერ თვალთან“ ასოცირდება - ნებისმიერი მოქმედება გარკვეული წინასწარი პრინციპის მიხედვით ხორციელდება, თუმცა „თუ თვითონ ადამიანი არაა კეთილი, ამას ვერ შეამჩნევს. უაზრობა კი ყველაფერს ამახინჯებს და აყალბებს, რაც კი პრაქტიკული მოქმედების საწყისებს ეხება. ამგვარად, ცხადია, კაცი არ შეიძლება გონიერი იყოს, თუ ის კეთილი არაა“. მისივე მახვილგონივრული შედარებით, როგორც ძლიერი სხეული ეცემა მხედველობის მოშლის გარეშე, იგივე ემართება იმ ადამიანსაც, რომელიც მორალური თვისების გარეშე მოქმედებს, ამდენად სათნოება დაკავშირებულია გონიერებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს ეთიკის მნიშვნელოვან ნაწილში მსჯელობა სათნოების, როგორც შეძენილი სულიერი თვისების უპირატესობი დამტკიცებას ეხება, არისტოტელეს განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნია ალტრუიზმისა და ეგოიზმის მიმართ. ეს უკანასკნელი თვისება ქრისტიანული მოძღვრების წყალობით, გამოცხადებულ იქნა ადამიანის ცალსახად უარყოფით მახასიათებლად, არისტოტელე კი აღნიშნავდა, რომ, თანამედროვე სიტყვებით რომ ითქვას, ეგოისტი ოპტიმალური შედეგის მიღწევას ცდილობს - ის ეხმარება გაჭირვებულებს, მაგრამ არც თავად რჩევა წაგებული, რადგანაც მოიპოვებს ხოტბას ახლობლების მხრიდან. ის მუდამ გონებით მოქმედებს, ამიტომ არასოდეს იღებს სხვისგან იმაზე მეტს, ვიდრე ეკუთვნის და არც დაუმსახურებლად გასცემს რასმე. სწორედ ასე ესმის მას „საკუთარ თავთან მეგობრობის მნიშვნელობა.“

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ არისტოტელეს ეთიკის იმ ნაწილმა, რომელიც ეგოიზმს ეხება, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის ამერიკელ ფილოსოფოს აინ რენდზე, რომელმაც ე.წ „გონივრული ეგოიზმის“ კონცეფციის შემოთავაზების გარდა, თავის ნაშრომებში ფილოსოფიის დანიშნულებად სწორედ პრაქტიკაში მისი გონივრული გამოყენება დაასახელა.

სოციოლოგი ნორბერტ ელიასი თავის ნაშრომებში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ცნობილი სოციოლოგიური თავსატეხის - ინდივიდისა და სოციუმის მიმართების ახლებური გადაწყვეტას წარმოგვიდგენს. მას ამ დიქოტომიის დარღვევა სურს, რისთვისაც „ცივილიზაციის პროცესში“ ვერსალური ეტიკეტის ანალიზი საკმაოდ ორიგინალურად სცადა. ეს დაკვირვება გეგმაზომიერია - სოციოლოგს აინტერესებს ის მიზეზები, რამაც ელიტის წევრებს საკუთარი თავის იმგვარი შეზღუდვა და რუტინული ქმედებების ჩადენა აიძულა, რომლებიც შემდეგში ფართო მასების მიერად იქნა გათავისებული. ამ და სხვა უზარმაზარი ემპირიულლი მასალის საფუძველზე მან თამაშის 3 მოდელის კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც, ელიასის აზრით, სოციალურ კონფიგურაციების, იგივე სოციალური ურთიერთობების თვისებრივად ახალი ტიპების მონაცვლეობით ფორმირდება.

თამაშის პირველი მოდელი ჭადრაკის პარტიას ჰგავს, როდესაც ძლიერ მოთამაშეს სრული გავლენა აქვს მიმდინარე პროცესზე. ის, ახლებური შედარება რომ გამოვიყენოთ, იმ კატას ჰგავს, რომელსაც შეუძლია მის კლანჭებს ქვეშ მოქცეული თაგვი ან მაშინვე შეჭამოს, ანდა ცოტა ხნით წაეთამაშოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არამხოლოდ მსხვერპლზე აქვს სრული გავლენა, არამედ თამაშის მიმდინარეობაზეც - მხოლოდ მასზეა დამოკიდებული როდის ანდა როგორი ფორმით მოიგებს.

თამაშის მეორე მოდელი უკვე გუნდური თამაშია, რომლის დროსაც სუსტთა განსაზღვრული რაოდენობა ძლიერი მოთამაშის წინააღმდეგ კოალიციას კრავს, ძლიერ მოთამაშეს კი სუსტ მოთამაშეებთან სასრული რაოდენობის ეფექტური თამაშების წარმართვა შეუძლია, ამიტომაც აქტუალური ხდება მულტიფუნქციური გაერთიანებების შექმნა და თანამშრომლობა ორივე - სუსტი და ძლიერი მხარეებისთვის. აქ წარმოდგენილი სტატიის სულისკვეთება სწორედ ამ თანამშრომლობის მორალურ-პრაქტიკული თავისებურების „პატიმრის დილემის“ მიხედვით განხილვას წარმოადგენს, რის გამოც აღარ გავამახვილებ ყურადღებას თამაშის მესამე მოდელზე, რომელიც უკვე ყველაზე გართულებულ ძალაუფლების ბალანსის თამაშია და თავის წიაღში ინდივიდის მოქმედებას იმდენად ბუნდოვანსა და კომპლექსურს ხდის, რომ მისი სოციალური შედეგის გათვალისწინება შეუძლებელი ხდება.

ამერიკელმა ნევროენდოკრინოლოგმა რობერტ საპოლსკიმ თავის ერთ-ერთ ლექციაზე ცოცხალი ორგანიზმების სიმბიოზის, თანამშრომლობის მიზეზებზე საუბრისას თამაშის

თეორიას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. მთავარი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რა განაპირობებს ბუნებაში ცოცხალ ორგანიზმებს შორის გამოვლენილი ურთიერთთანამშრომლობის ფორმების ამგვარ მრავალფეროვნებას? პასუხი მარტივია - ამის მთავარი მიზეზი „ფორმალური თამაშია, რომელსაც მათემატიკურად ოპტიმალური სტრატეგია ახასიათებს და ქმნის ერთგვარ „მულტი ეკვილიბრიუმს“, რა პროცესშიც სახეობებს უწევთ პასუხის გაცემა ერთადერთ მთავარ შეკითხვაზე - ოპტიმალური შედეგის მისაღწევად როდის ღირს თანამშრომლობა და როდის არა.

ამ ერთი შეხედვით პრიმიტიული შეკითხვის გადაწყვეტა თამაშის თეორიის მთავარი ქვაკუთხედის - „პატიმრის დილმის“ ამოხსნას უკავშირდება. ამ დილემის მიხედვით, 2 დამნაშავე შეიპყრეს და ცალ-ცალკე დაკითხვა ჩაუტარეს. მათი ბედი სიმართლის თქმა-ართქმაზეა დამოკიდებული, რაც, ერთმანეთის „გაცემა- არ გაცემას“ შორის არჩევანის გაკეთებას გულისხმობს. ამ პროცესში არსებობს მოვლენათა შესაძლო განვითარების 4 ვარიანიტი - 1. ორივე პატიმარი თანამშრომლობს და ერთმანეთს არ გასცემენ, 2. ორივე მათგანი უარს აცხადებს თანამშრომლობაზე და გასცემენ ერთმანეთს, 3. პირველი არ გასცემს და მეორე გასცემს და 4. მეორე არ გასცემს და პირველი გასცემს მეორეს. მიუხედავად იმისა, რომ 4-დან თითოეულისთვის ცალ-ცალკე მხოლოდ 2 ვარიანტია მომგებიანი (პირველი, მესამე ვარიანტი მეორისათვის და მეოთხე ვარიანტი პირველისათვის), ანუ თითოეულს შესაძლო შემთხვევებიდან 50%-იანი შანსი აქვს საკუთარი თავის გადარჩენისა, პრობლემის უნივერსალური გადაწყვეტის ფორმულა საკმაოდ პრობლემატური ჩანს, რადგან როდის ითანამშრომლო და როდის არა - ეს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციასა და ინტერესებზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. თამაშის თეორიის, ისევე, როგორც „პატიმრის დილემის“ საფუძვლების განვითარებაში მთავარი როლი ამერიკელმა მათემათიკოსმა ჯონ ფორბს ნაშმა ითამაშა, სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი „ნაშის წონასწორობის“ (Nash equilibrium) იდეა.

1970 წელს რობერტ აქსელროდმა „პატიმრის დილემის“ ოპტიმიზაცია შესძლო. ერთადერთ შესაძლო სწორ სტრატეგიად „თვალი თვალის წილ“ პრინციპი იქნა აღიარებული (ინგლისურად Tic for tat). ამ სტრატეგიის უპირატესობა კომპიუტერულად დათვლილ იქნა და დაახლოებით შემდეგი სახე მიიღო:

	თანამშრომლობა	**უარი თანამშრომლობაზე**
თანამშრომლობა	ჯილდო/ჯილდო	ინდ.გამოცენა/მოტყუება
უარი თანამშრომლობაზე	მოტყუება/ინდ.გამოჩენა	სასჯელი/სასჯელი

მომდევნო რაუნდებში, თუკი რომელიმე მოთამაშე ქცევას შეიცვლის, ამავეს აკეთებს მეორე მოთამაშეც. მაგალითად, თუკი პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით, რომელიმე მოთამაშე აღარ ითანამშრმოლებს მეორესთან) ეს აისახება მეორე მოთამაშის ქცევაზეც. ცალსახაა ისიც, რომ თითოეულ შემთხვევაში ოპტიმალურ გამოსავლად ჯერ ინდივიდუალური გამორჩენაა, შემდეგ ჯილდო, მას მოჰყვება სასჯელი და ყველაზე არასასურველი ვარიანტი მოტყუებაა (რადგან სასჯელს ემატება ისიც, რომ ერთი მოწინააღმდეგე მეორის დამარცხებისგან იღებს სარგებელს).

ეს სტრატეგია საზოგადოების შემსწავლელ თუ საბუნებისმეტყველო დარგებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და, საპოლსკის შენიშვნით, ბუნებაში არსებული ცხოველთა მთელი რიგი ქცევითი თავისებურებების ახსნის შესაძლებლობა მოგვცა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ თამაშში უპირატესობის მოპოვება მხოლოდ რაციონალურად მოაზროვნე, საკუთარი ინტერესებით მოქმედ მოთამაშეებს შეუძლიათ, მიუხედავად ამისა, ადამიანთა საზოგადოებას რომ თავი დავანებოთ, საკუთრივ ცხოველებშიც კი იჩნა თავი კონკრეტულმა პრობლემამ - ე.წ. „შეტყობინების შეცდომამ“ (ინგლ. Signal errors).

საპოლსკის მიერ მოყვანილი ღამურის შემთხვევა არასწორი კომუნიკაციის ნათელი მაგალითია და თუკი სიმბოლოებით დატვირთლ ადამიანთა საზოგადოებას გავიხსენებთ, მაშინ გამოჩნდება, რომ კომუნიკაციაში დაშვებული შეცდომით გამოწვეულმა გაუგებრობამ, შეიძლება მოთამაშეებს უსაფუძვლოდ ათქმევინოს უარი თანამშრომლობაზე. კომუნიკაციის პროცესში დაშვებული შეცდომა თანაბრად საბედისწერო შეიძლება გამოდგეს როგორც ინდივიდუალური, ისე სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობების პროცესში.

ამ პრობლემის გამოსასწორებლად შემუშავდა პატიების პრინციპზე დაფუძნებული საპასუხო მოქმედების სტრატეგია (ე.წ. Forgiving tic for tat), მაგრამ ეს სტრატეგიაც გაუმართავია, რადგანაც თუკი ერთი მხარე მუდმივად დათმობებზე წავა, შესაძლოა მეორე მოთამაშემ მუდმივად ამის საპირისპირო, ე.წ. „პარაზიტული გზა“ აირჩიოს და

პირველის ექსპლუატაცია დაიწყოს. ამ დროს პირველის დაცულობის ხარისხი, თამაშის მიმდინარეობის პირდაპირპროპორციულად მცირდება.

ამდენად, არისტოტელეს „ფრონესის“ კონცეფციის თანამედროვე სამყაროში ინდივიდის მორალური განსჯასა და მოქმედებასთან მორგებით ვიღებთ „პატიმრის დილემაზე“ დაფუძნებულ „ცდისა და შეცდომის“ უზოგადეს მიდგომას, რისი ძირითადი პრინციპიც ასეთია - ვმოქმედებ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (მაგ. ვთანამშრომლობ), მეორე რაუნდში საპასუხო რეაქციისდა მიუხედავად, ვაგრძელებ ჩემს სტრატეგიას და ვაკვირდები მეორე მოთამაშის ქცევას, თუკი ის მაინც უარს ამბობს თანამშრომლობაზე ვამოწმებ პრობლემა კომუნიკაციაში წარმოქმნილი ხარვეზის გამო ხომ არაა გამოწვეული (ე.წ. „Forgiving tic for tat“), ამიტომ „პატიების“ გზას ვირჩევ, თუმცა ამის შემდეგ, თუკი ის კვლავ უარს იტყვის თანამშრომლობაზე, უკვე ჩემს სტრატეგიას ვცვლი „თვალი თვალის წილ“ (tic for tat) პრინციპის მიხედვით.

როგორც ვნახეთ, თამაშის თეორიის „პატიმრის დილემაზე“ დაფუძნებული სოციალური მოქმედების ეს ფორმულა გარკვეული სახეცვლილებების ფორმით არსებობს ბიოლოგიაში, ადამიანთა საზოგადოებაში კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნია. ეს პრინციპი, ასე თუ ისე, გამართულად მუშაობს ელიასის თამაშის მეორე მოდელში, როდესაც ინდივიდებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა განუხრელად იზრდება, მესამე მოდელს რაც შეეხება - ფიგურაციათა რაოდენობის განუსაზღვრელად ზრდადი მაჩვენებლის პირდაპირპროპორციულად, ინდივიდუალური მოქმედების სოციალური შედეგების განსაზღვრაც ბუნდოვანი ხდება, შესაბამისად, „პატიმრის დილემის“ გადაჭრაც უფრო გართულებული ფორმულების მოშველიებით ხდება. აშკარაა ისიც, რომ არც აქ წარმოდგენილი მსჯელობის მეთოდოლოგია და არც საკუთრივ კომპილაციური მსჯელობა შეგვიძლია მივიჩნიოთ უნივერსალურ ჭეშმარიტებად, თუმცა ნაშრომის მთავარი მიზანი იყო მხოლოდ ის, რომ გარკვეული იდეების ერთმანეთთან დაკავშირებითა და მათი ინტერპრეტაციის წყალობით, წარმოჩენილიყო თანამედროვეობის მორალური გამოწვევების ის ასპექტი, რომელიც ადამიანის მორალურობასა და მოქმედების პარადიგმას შორის კავშირის პრობლემას გულისხმობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი **გიორგი თათარაშვილი**

პიროვნული იდენტობა და რასიზმი

პიროვნული იდენტობა ისეთ ჰერმენევტიკულ კითხვებს აყენებს წინა ხაზზე, როგორიცაა ადამიანის არსის, არსებობისა და ყოიერების საზრისის საკითხები. ადამიანი ოდითგანვე სვამდა ამ კითხვებს დ პასუხებიც, შესაბამისად საკუთარი პრიზმიდან, საკუთარი ცნობიერების ტოპოსიდან გამოჰყავდა. იდენტობის პრობლემაზე მსჯელობა და თავად პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, განსაკუთრებით უახლეს დროში გამოვლინდა. როდესაც ნეოლიბერალურმა თეორიებმა იდენტობების მრავალფეროვნება და ტოტალური პლურალიზმი მთავარ მოტივად აქცია. მოხსენებაში საკითხი განხილულია „ახალი სამყაროს“ - ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ერთ მთლიან მოცემულობის, მაგალითზე. ამერიკა დასაბამიდან თვითმყოფადობით გამოირჩეოდა, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა იმ ადამიანების თავისუფლებისკენ ლტოლვა და პიროვნული დამოუკიდებლობა, რომლებმაც შეერთებულ შტატებს სახელმწიფოებრიობა მოუმზადეს. ისტორიული ფაქტებით ამა თუ იმ არგუმენტის დამოწმება ვფიქრობ შორს წაგვიყვანს და შესაბამისად ყურადღებას სწორედ თემის მთავარ პათოსზე მივმართავ. თვითმყოფადობა და მრავალფეროვნება შეერთებულ შტატებს თავისი არებობის დღიდან ახასიათებდა და ძირითადად ამერიკული თვითმყოფადობა გაიგივებული იყო თეოლოგიურ-კალვინისტულ დისკურსთან, შემდგომ პერიოდში ჩვენთვის ცნობილია რომ „ამ პირქუში“ (როგორც გამოჩენილი ქართველი მთარგმნელი, ფილოსოფოსი ბაჩანა ბრეგვაძე უწოდებდა) დოქტრინაზე დაფუძნებული მიდგომის დახვეწა მოხდა, თუმცა ამერიკული თვითმყოფადობა არ შეცვლილა რამაც საბოლოო ჯამში კონსტიტუციაში, უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტში ჩამოაყალიბა მთელი რიგი პრინციპები. თავდაპირველი კუნსტიტუცია სწორედ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ თემაში შემოვიყვანოთ მეორე საკითხი რომელიც სათაურში ფიგურირებს, ესაა რასიზმი რაც კონტრასტულად კონსტიტუციის შექმნის დღიდან საკანონმდებლო სისტემაშიც შედის და ფეხს იკიდებს. დღევანდელი ტერმინებით ეს საკითხი რომელზეც ახლა ვისაუბრებ რასიზმის წმინდა მაგალითია, თუმცა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის, ამერიკაში

კონსტიტუცია და ყოველივე მასში დაწერილი ამერიკულ იდენტობას განსაზღვრავდა/განსაზღვრავს და რთულია ამ არგუმენტის უკუგდება. საუბარია „სამი-მეხუთედის კომპრომისზე(The Three-Fifths Compromise), რომელიც 1787 წელს კონსტიტუციური კონვენციის დელეგატებმა მიიღეს, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო ორგანოში, კონგრესში წარმომადგენლების არჩევის საკითხს რაც შტატებში მოსახლეობის პირდაპირპროპორციული უნდა ყოფილიყო იმ პუნქტის დამატებით, რომ შავკანიანი აფროამერიკელები(მონები) თეთრ ამერიკელთან შედარებით სამი-ხუთზე დაითვლებოდა, შესაბამისად ხუთ აფროამერიკელში იგულისხმებოდა სამი თეთრკანიანი ამერიკელის სახელმწიფოებრივი უფლებამოვალეობა აღნიშნულ საკითხში, რომელთა აღრიცხვითაც კონგრესში წარმომადგენლების რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო. ხშირია ამ საკითხზე საუბარი როგორც, კომპრომისზე, რომელმაც ამერიკა იხსნა კიდევ დიდხნიანი კონფლიქტისგან რომელიც შტატებს შორის შესაძლოა დაწყებულიყო, თუმცა მთავარი მაინც ვფიქრობ ისაა რომ „თეთრი ამერიკელები“(White Americans) ამერიკაში თვითმყოფადობის მთავარ ბურჯს წარმოადგენდა. დღესაც ამ გამძაფრებულ რეალობაში რამაც მსოფლიო მოიცვა დიდი დაკვირვების გარეშეც იგრძნობა, რომ რასიზმი ამერიკაში არ დაძლეულა, ერთია ვთქვათ, რომ რასიზმი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ნიშა დაინგრა, თუმცა ამერიკელის ცნობიერებაში აფროამერიკელი არ იგივდება ამერიკულ იდენტობასთან, რასაც ვფიქრობ, ღრმა ფილოსოფიურ-კულტურული ანალიზი სჭირდება. იდენტობის საკითხის გახსნასთან მდგომი კითხვებია: ვინ ვარ მე? როდიდან ვარსებობ? რა მქმნის ადამიანად? და ა. შ. სწორედ ამ კითხვების დასმა უკავშირდება ამერიკულ თვითმყოფადობის გარკვევას ამერიკელისათვის. ამ ტიპის თვითცნობიერების ჩამოყალიბება იწყება კოლონიურ პერიოდში- იქ და, მაშინ როდესაც აფროამერიკელები არ არსებობდნენ. ამდენად დასაბამში მათი ადგილი უბრალოდ არ მოიძებნება. აშშ-ში რასიზმთან ბრძოლის გზაზე მთავარი პრობლემა სათავეს სწორედ აქედან იღებს. მაგალითად მოვიყვანთ ბოლო მოვლენებს, რომელთაც ამერიკის უამრავი შტატი მოიცვა. ვფიქრობ, რომ არსებული რეალობის შეცვლას ართულებს ერთის მხრივ პრობლემის არასწორი კუთხით დასმა და მეორეს მხრივ ამერიკული თვითმყოფადობის თანამედროვე დისკურსი. ერთი მაგალითი სტატისტიკიდან, რომელიც მიმაჩნია რომ ნათლად გამოხატავს აღნიშნულ რეალობას. ამა წლის ივნისის თვის დასაწყისში ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვით გამოკითხულთა 74%-მა რასისტული ქმედებად ჩათვალა პოლიციის თანამშრომლების მიერ ჯორჯ ფლოიდის მოკვლა, თუმცა ასევე აბსოლუტური უმრავლესობა კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა პოლიციის

უფლება-მოვალეობების შეცვალასთან დაკავშირებით და საკანონმდებლო სივრცეში აფროამერიკელებთან მიმართული ანტიდისკრიმინაციული საკითხების ასახვასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არის რეალური საფრთხე, რომ რასიზმი ამერიკაში კვლავ იქცეს რეაქციულ იდეოლოგიად, პოლიტიკად და პრაქტიკად. ამ დროს რასიზმის სწორედ იდენტობის არასწორი გაგებით იწყება. საჭიროა პრობლემის ფორმულირება და შემდგომ გადაჭრის გზების ძებნა. იდენტობაზე ფიქრისა და მსჯელობისას პირველ პლანზე არა რასებისა და ხალხების იერარქიული დაყოფა, არამედ ადამიანთა თანაბარი უფლებების საკითხი უნდა წამოვწიოთ. ვიზიარებთ ფუტუროლოგ ფრენსის ფუკუიამას პოზიციას, რომელიც მან 2019 წლის 7 მარტს ვენაში, ლექციაზე გააჟღერდა. და რომლის მიხედვითაც დემოკრატიის მთავარი საყრდენს წარმოადგენს ის, რაც ადამიანებს მორალურად თანასწორად ხდის, ის, რაც შემდგომ პოლიტიკურ თანასწორაბასაც შობს და არა პირიქით. ვფიქრობ, რომ სწორედ იდენტონის არასწორი გაგება არის მთავარი პრობლემა ამერიკაში და არა მხოლოდ ამერიკაში.

დანართი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტისა და ანთიმოზ ივერიელის სახ. ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

თანამედროვეობის მორალური გამოწვევები

2020 წლის 23 ივნისი

პ რ ო გ რ ა მ ა

კონფერენციის გახსნა – 10:00
ზუმის პლატფორმა

ნანა გაფრინდაშვილი – პროფ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი **დემურ ჯალაღონია –** პროფ. ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი

I სხდომა: 10:00-12:30

1. **საბა ბულისკერია** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ადამიანი, როგორც ხიდი არსებობასა და არსებას შორის.

2. **ალექსი ტკაჩოვი** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** თვითუარყოფა, როგორც მორალური კატეგორია „დაო დე-ძინის“ მიხედვით.

3. **გიორგი ვახტანგაშვილი** (თსუ კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სტუდენტი -მაგისტრანტი) – „პატიმრის დილემა“, როგორც ინდივიდუალური მორალური ქცევის პრობლემა თანამედროვე სამყაროში (ნორბერტ ელიასის „თამაშის სამი მოდელის“ რეცეფცია).

4. **თამთა ზაქარაშვილი** (თსუ ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი) - სამართლიანობის შესაძლებლობა “მინიმალისტური სახელმწიფოს” კონცეფციაში.

5. **ნიკოლოზ ჭარხალაშვილი** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ევთანაზია, როგორც ბიოეთიკური პრობლემა.

6. **ტატო ჯიჯეიშვილი** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** მტკიცება, როგორც უმეცრება.

7. **დავით თაბორიძე** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ჯორდან პეტერსონის ონტოლოგია და მისი აპლიკაცია ეთიკაში.

8. **ანდრო ქარდავა** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** რამდენადაა გამართლებული ზნეობრივად ღირსების თვითმკვლელობით აღდგენა?

9. **ნონა მაჭავარიანი** (თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი - ბაკალავრი) - ეკრანი, როგორც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი - მორალური დილემები.

10. **სოფიო დუმბაძე** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** აქტუალურია ეთიკურ ღირებულებებზე ფიქრი დღეს?! - pro et contra.

II სხდომა: 12:30-14:00

1. **ლევან ლატარია** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარი“.
2. **გიორგი თათარაშვილი** (თსუ ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი) პიროვნული იდენტობა და რასიზმი.
3. **მარიამ კუჭავა** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ზომიერების პრინციპი და თანამედროვე სამყარო.
4. **გიორგი ხარანაული** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ბედნიერება და კარგად ცხოვრება.
5. **ჯეიმარ ბოლქვაძე** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** არისტოტელესეული მეგობრობის თანამედროვე რეცეფციები.
6. **დეა ცომაია** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ადამიანი - მასა და Man - ის განზომილება. ხელმძღ. დ. ჯალაღონია.
7. **რუსუდან ჯანანაშვილი** (თსუ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტი - ბაკალავრი) - კანონი და თავისუფლება.
8. **ლევან კაკალაშვილი** (თსუ ფილოსოფიის სტუდენტი - ბაკალავრი) **-** ხელოვნური ინტელექტი - ეთიკური ჭრილი.
9. **მარიამ ქოსაშვილი, ელიზა ეფაძე** (თსუ ქართული ფილოლოგიის სტუდენტები - ბაკალავრი) - ფილოსოფია და რელიგია. ხელმძღ. ვ. რამიშვილი.

მოხსენებები მომზადდა თსუ ასოცირებული პროფესორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ანასტასია ზაქარიაძისა და ფილოსოფიის დოქტორის, მოწვეული პროფესორის დალი გულიაშვილის ხელმძღვანელობით.

კონფერენციის რეგლამენტი:

მოხსენება – 7 წუთი

კამათი – 3-5 წუთი

~